# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 13 ოქტომბერი 2004 №238 (2259) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქირესმა ვარჯიშიც დახურა და კარის ჩაკეტვასაც აპირებს

## საქართველოს ნაკრების თითქმის უცვლელი შემადგენლობა

დევაძე

ხიზანეიშვილი სალუქვაძე ხიზანიშვილი

მქავანაძე კობიაშვილი

ასათიანი ცქიტიშვილი

ჯამარაული

იაშვილი არველაძე



ბადრი კეთილაძის ფოტო



ბადრი კეთილაძის ფოტო



კახა ალადაშვილისა და საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი უნაყოფო შეტევა

# 0:6

## შაკრედიტაციო ჟურნალისტებმა აკრედიტებული წაგება ნახეს

0:6! აი, ასე წააგო საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა უკრაინელ ახალგაზრდებთან. პატივცემულო მწვრთნელებო, ფედერაციავ, თქვენი ჭირიმე, ნუ დააბრალებთ 0:6 წაგებას მსაჯს, ყინვას, სადღაც ჩერვონოგრადში თამაშს და გაზონს. მიზეზი შორიახლო მოიძიეთ, რადგან ვერც მსაჯი და ვერც ჩერვონოსადღაცელი 5 ათასი მაყურებელი ექვს უპასუხო გოლს ვერ გაგიტანს.

ვიცით, ძნელია, მაგრამ, გეთაყვათ, იქნებ როგორმე მოახერხოთ და გუნდს ერთი რომელიმე ფირმის ეკიპირების სრული კომპლექტი გაუხერხოთ. თავმოყვარეობის ამბავია, ახალგაზრდა ფეხბურთელები დიდი ნაკრებიდან გამოთხოვნილი გეტრებით თამაშობენ. ერთსაც გთხოვთ, ფრანგ ჟურნალისტს რომ დაიმგზავრებთ, ლვოვში ჩაიყვანთ და თბილად დააბინავებთ, იქნებ როგორმე უკრაინაში ჩასულ ქართველსაც ნაცნობობით მაინც გაუშანსოთ სტადიონზე აკრედიტაცია. ბევრს ხომ არ ვითხოვთ?

# შევჩენკო თუ არა?

## სოციალ-დემოკრატები ბოლშევიკებივით მოიქცნენ



კობა ინასარიძე
ლვოვიდან




„უკრაინაზე“ მოხვედრა ბევრ ლვოველს ოცნებად დაურჩა

ლვოვში დაბინავებულმა საქართველოს ნაკრებმა გუშინ სალამოს ხუთ საათზე ივარჯიშა სტადიონ „უკრაინაზე“. *ალენ ჟირესმა* თავიდანვე გამოაცხადა, ვარჯიში დახურული იქნებაო და კაციშვილი არ გააჭაჭანა სტადიონზე. ამიტომაც, ცხადია, ვერ გეტყვით, რა როგორ იყო, თუმც ნაკრების თავკაცს სალამოს სასტუმროში შევხვდით და გამოველაპარაკეთ...

**— ვარჯიში ხუთ საათზე დაიწყეთ. არადა, თამაში უფრო გვიანაა. რატომ მოიქეცით ასე?**

— ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. საერთოდაც, როცა საჭიროდ ჩავთვლი, მაშინ ვავარჯიშებ გუნდს და არა მგონია, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

**— ბიჭები ჯანზე არიან?**

— ყველა კარგადაა დემეტრაძის გარდა. მას საზარდული აწუხებს და ალბათ ვერ ითამაშებს.

**— რას ელით უკრაინისგან?**

— ყველაზე ნაკლებად სიურპრიზებს ველი. ვფიქრობ, უკრაინელები ისევე აგრესიულად ითამაშებენ, როგორც საბერძნეთთან. ჩვენ კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავყვეთ.

**— ახალგაზრდული ნაკრების გამანადგურებელი მარცხი უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს გუნდზე?**

— ეგ რა სათქმელია. ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს და უხეშად რომ ვთქვა, სულ არ მაინტერესებს, რა მოხდა ახალგაზრდული ნაკრებების მატჩში. მომხდარს მხოლოდ თბილისში დაბრუნების მერე გავუკეთებთ ანალიზს, ახლა კი ამაზე ფიქრის დრო არაა.

ეს გვითხრა ალენ ჟირესმა და დროებით დაგვემშვიდობა. თუმც მანამდე მუსიე ალენმა ერთი შეკითხვა დაგვიტოვა უპასუხოდ — ვინ იქნება ნაკრების კაპიტანი კახა კალაძის არყოფნაში? ჟირესმა ახალი კაპიტნის ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამას ხვალ, სტადიონზე გაიგებთო.

ჩემი აზრით, სამკლავურს *გოჩა ჯამარაული* მოირგებს, თუმც ეს ასპროცენტიანი ამბავიაო, ცხადია, ვერ ვიტყვი.

ამის შესახებ გუშინ თავად გოჩამაც არაფერი იცოდა, უკრაინის ნაკრებზე კი ეს გვითხრა:

— მასპინძლებს ორად-ორი ლეგიონერი ჰყავთ, შევჩენკო და ვორონინი. დანარჩენები უკრაინის ჩემპიონატში თამაშობენ და მათი შესაძლებლობები კარგად ვიცი. მცველები ყოველთვის პერსონალურად თამაშობენ და რომ აგეწებებიან, წამით არ გშორდებიან. ფიზიკურადაც ძალიან ძლიერები არიან და ამიტომ, ჩემი აზრით, დაცვიდან უნდა ვითამაშოთ, თამაში უნდა ჩავკეტოთ. კონტრშეტევებისას საფრთხილე გვმართებს, შეტევაში უკანმოუხედავად არ უნდა წავიდეთ. საბრძოლოდ მზად ვართ და მჯერა, არ წავაგებთ.

საქართველოს ნაკრებმა ვარჯიში დაამთავრა თუ არა, „უკრაინას“ უკრაინა მოადგა. ოლეგ ბლოხინის გუნდი, ფაქტობრივად, პირდაპირ აეროპორტიდან ეწვია სტადიონს — მასპინძლები სწორედ გუშინ, სალამოს შვიდი საათისთვის ჩამოფრინდნენ კიევიდან ლვოვში.

ვარჯიშმა საათზე ოდნავ მეტი გასტანა და მერე *ოლეგ ბლოხინმაც* დაგვითმო მცირე დრო:

**— შევჩენკოს თაობაზე ბევრი ლაპარაკია. ამბობენ, ანდრეი საქართველოსთან არ ითამაშებსო...**

— რას ნიშნავს არ ითამაშებს?! შევჩენკო უკრაინელია და ვალდებულია, თავის ქვეყანას დაეხმაროს, თუ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობა შეუწყობს ხელს.

**— სამი დღის წინ საბერძნეთთან ითამაშეთ. ფეხბურთელები დაღლილები იქნებიან და ტაქტიკის აწყობას ამის მიხედვითაც ხომ არ აპირებთ?**

— ტაქტიკაზე ვერაფერს გეტყვით, ფეხბურთელებიც აღიდგენენ ძალებს, თუმც ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მოგება გვჭირდება და უნდა მოვიგოთ კიდეც.

ამის შემდეგ ბლოხინმა საათს დახედა, მეჩქარებაო, გვანიშნა, ბოდიში მოგვიხადა და გაგვეცალა.



გოჩა ჯამარაული უკრაინელებს კარგად იცნობს

ბლოხინ-შევჩენკოს ურთიერთობაზე უკრაინაში ბევრს ლაპარაკობენ. მილანელი სუპერვარსკვლავის შესაძლო გაუჩინარებაზეც ამიტომ გაჩნდა ეჭვი. ის კი ფაქტია, რომ ბერძნებთან თამაშის მერე „შევა“ ინდივიდუალური, როგორც აქ ამბობენ, მილანური პროგრამით ვარჯიშობს და ამის ოფიციალურ მიზეზად ტრავმა სახელდება. კულუარული ხმებით კი, ტრავმა უფრო მომიზეზებაა, ვიდრე რეალობა — შევჩენკო თურმე ქართველებთან თამაშს არ აპირებს და მწვრთნელებსაც მოგონილი ტრავმით უხვევს თვალებს.

ბლოხინმა თავისი დიპლომატიური „ნიჭი“ მაშინაც გამოაჩინა, როცა შევჩენკოს ბერძნებთან თამაში შეაფასა. მისი თამაშით მთლად კმაყოფილი არ ვარ, მეტი შეუძლია — მოკლედ მოჭრა ოლეგ ვლადიმიროვიჩმა. არადა, აქაური ჟურნალისტების და გულშემატკივრების თქმით, შევჩენკო იმ მატჩში საუკეთესო იყო და საერთოდაც, დიდი ხანია, ანდრეის ნაკრებში ასე კარგად არ უთამაშიაო.

მოკლედ, არეული სიტუაციაა და ვინ მართალია და ვინ მტყუანი, დღეს გამოჩნდება.

უკრაინა დალაგებული არც სხვა მხრივაა. მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს დიდი ვნებათაღელვა ახლავს და ოპოზიციაც წამდაუწუმ ამხელს მთავრობას ამა თუ იმ მამაძაღლობაში. პრეზიდენტობის კანდიდატები და ერთმანეთის მთავარი კონკურენტები დღევანდელი პრემიერ-მინისტრი იანუკოვიჩი და მიხეილ სააკაშვილის მეგობარი იუშენკო არიან. ხალხის სიმპათია იუშენკოსკენ იხრება, მაგრამ პრემიერი ყველანაირ ბერკეტს იყენებს სათავისოდ. პრემიერმინისტრობასთან ერთად იანუკოვიჩი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერიცაა. ეს პარტია კი უკრაინის ნაკრების სპონსორია და საქართველოსთან დღევანდელი მატჩის 20 ათასი ბილეთი ჯერ კიდევ დაბეჭდვამდე შეუკვეთა. ამან ლვოველები აღაშფოთა — აქაური ქომაგებისთვის ოდენ 5 ათასი ბილეთი დარჩა და ისიც პირველივე დღეს გაიყიდა. გაცოფებული „უბილეთო“ ლვოველები მატჩის დროს ბოიკოტზე ფიქრობენ, მაგრამ რა ფორმით, ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ.

სტადიონი რომ გაივსება, ფაქტია და ტრიბუნებიც სულ ლურჯ-ყვითელ ფერებში იქნება გაწყობილი. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ საგანგებოდ დაამზადებინა 30 ათასი დროშა გულშემატკივრებისთვის ჩამოსარიგებლად.

ბოლოს კი უკრაინელთა დახვედრაზე რომ არ ვთქვა, არ იქნება. ხალხი ჩვენს მიმართ ძალიან კეთილგანწყობილია და ამას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ. თუნდაც ეს მაგალითი რად ღირს — დღეს ფაქსის გამოგზავნა რომ მინდოდა ერთ-ერთ გამვლელს ვკითხე, ფოსტაში როგორ მოვხვდე-მეთქი. ალექსეი, როგორც თავად გაგვეცნო, მაშინვე მიხვდა, ქართველი რომ ვიყავი და სულ ჩვენ ქებად დაიღვარა. ფოსტამდეც გამოგვყვა და როცა ვუთხარი, ნუ წუხდებით-მეთქი, მოკლედ მომიჭრა — ქართველებს სადაც დავჭირდები, იქ წავყვები და დავეხმარებიო. მერე დაამატა, აბა, რუსი რომ იყო, ხმასაც არ გაგცემდიო...

დღეს კი საქართველოს ნაკრები, დილის 10 საათზე ერთხელაც წაივარჯიშებს და...

მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს გადასცემს ტელეკომპანია „ინტერი“, რომელიც ნაკრების ერთ-ერთ სპონსორად ითვლება. ტემპერატურა კი, ნუ იკითხავთ — 2 გრადუსი ყინვა. ასეთია სინოპტიკოსების პროგნოზი, თუმც ჩვენებს ეს არ აშინებთ.



უკრაინამ არ იცის, ითამაშებს თუ არა ანდრეი შევჩენკო

### ინგლისი

კონფერენსლიგა. XII ტური

ბარტონი 2:2 ჰალიფაქსი

### სლოვაკეთი

პირველი ლიგა. X ტური

ინტერი 1:3 პეტრჟალკა
პუხოვი 1:2 დუბნიცა
რუჟომბეროკი 4:2 სობოტა
ტრნავა 0:1 ჟილინა
ტრენჩინი 3:2 ბანსკა ბისტრიცა

### სლოვენია

თასის მეორე ეტაპი

ნოვა გორიცა 6:0 ზავრკი

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

X ტური

ბოლივია 0:0 ურუგვაი

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია

VIII ჯგუფი. IV ტური

ინდონეზია 1:3 საუდის არაბეთი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი. IV ტური

I ჯგუფი

პოლანდია 4:1 ფინეთი

III ჯგუფი

ლატვია 0:0 ესტონეთი
პორტუგალია 2:0 რუსეთი

IV ჯგუფი

კვიპროსი 0:1 საფრანგეთი

V ჯგუფი

მოლდოვა 0:0 შოტლანდია
ნორვეგია 0:0 სლოვენია
იტალია 2:1 ბელარუსი

VI ჯგუფი

აზერბაიჯანი 0:0 ინგლისი
გერმანია 2:0 ავსტრია
უელსი 2:2 პოლონეთი

VII ჯგუფი

სერბეთი 9:0 სან მარინო
ლიტვა 1:1 ესპანეთი

VIII ჯგუფი

ბულგარეთი 2:1 მალტა
ისლანდია 3:1 შვედეთი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
სამძიმარს უცხადებს დავით ერაძეს დედის
ლამარა ნარმანიას
გარდაცვალების გამო

# 2006 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
## შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

ჩერვონოგრადი. 12 ოქტომბერი. 16 საათი. შახტარი. 5 000 მაყურებელი

## უკრაინა 6:0 საქართველო

1:0 ვორობეი (8), 2:0 ალიევი (22პ), 3:0 პუკანიჩი (32), 4:0, 5:0 გლადკი (44, 55), 6:0 ტრუსევიჩი (68)

| | |
|---|---|
| **უკრაინა U-21:** შირიაევი, რომანჩუკი, იაცენკო, ჩიგრინსკი, ალიევი, პუკანიჩი (სამბორსკი 53), მილევსკი, გლადკი, ჩებერიაჩკო (ტრუსევიჩი 66), იარმაში (იშჩენკო 60), დ. ვორობეი<br>*სათადარიგონი:* პიატოვი; გუმენიუკი, პროშინი, სიტნიკი<br>**მწვრთნელი:** ალექსეი მიხაილიჩენკო | **საქართველო U-21:** თოთლაძე, გიგაური (ხუბუა 60), კაშია, იმედაშვილი, ონიანი, ბურნაძე, გ. ნუგ. ჭელიძე (დარსანია 46), ალადაშვილი, ს. იაშვილი (გ. ნოდ. ჭელიძე 82), ხოჯავა, ი. მოდებაძე<br>*სათადარიგონი:* შეყრილაძე; ჩიკვილაძე, გეწაძე, მარცვალაძე<br>**მწვრთნელი:** გოჩა ტყებუჩავა |

**გაფრთხილება:** გიგაური (18), ალადაშვილი (20), ბურნაძე (65), ალადაშვილი (83), იაშვილი (85)

**გაძევება:** ალადაშვილი (83)

**მსაჯები:** მ. ვუორელა; ვ. მანტერე, ი. იკონენი; პ. კარი (ყველა ფინეთი)

**უეფას მწვრთნელი:** ვ. გუვერტსი (ბელგია)




ბაჩო ქორიძის ფოტო

# აიჭრნენ კი არა: ჩა-ი-ჭრნენ!
## ქართველ ახალგაზრდებს სათამაშო აგრესია უხეშობა ჰგონიათ

**კოზა ინასარიძე**
**ჩერვონოგრადიდან**

თევზი თავიდან ყარსო. ვიდრე მატჩზე ვიტყოდეთ, ორიოდ სიტყვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმისადმი აგდებულ დამოკიდებულებაზე. იმედი გვაქვს, ჩვენი ნათქვამი არ გაფიქრებინებთ, ეს ხომ წვრილმანიაო და, ამიტომ გვჯერა, რომ სათქმელი უნდა ითქვას. როცა თბილისიდან ლვოვში გამოფრენილ თვითმფრინავში არ არის ადგილი ქართველი ჟურნალისტებისთვის და ამავე რეისით ნაკრებთან ერთად მგზავრობს ჩვენი ფრანგი კოლეგა და რამდენიმე ფეხბურთისგან შორს მყოფი კაცი, ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, ფედერაციისგან ქართველი ქომაგის უპატივცემლობაა.

მეორე: სამწუხაროა, როცა ჩვენი ფრანგი კოლეგისთვის უკრაინა — საქართველოს ახალგაზრდულ მატჩზე თამაშის დაწყებამდე საათით ადრე სტადიონის ყველა კარი ღიაა, ქართველი ჟურნალისტები კი ტრიბუნაზე მაშინ ავედით, როცა უკვე ეროვნული ჰიმნები ისმოდა. მიზეზი: აკრედიტაციის არქონა. ფრანგი მატჩზე აკრედიტებული იყო, ჩვენ — არა. ამიტომაც ორი საათი, ვიდრე ერთი ღვთისნიერი უკრაინელი არ გამოჩნდა, სტადიონის ახლო-მახლო ვიყურყუტეთ.

მესამე: საქართველს ახალგაზრდულმა გუნდმა მატჩი თამაშამდე წააგო. როცა ქვეყნის ნაკრები, რომლის უზრუნველყოფაც ფედერაციის საქმეა, ოფიციალურ მატჩს იწყებს ეროვნული გუნდისგან ნათხოვარი გეტრებით, როცა ფეხბურთელები თამაშობენ „პუმას" მაისურებით, „კაპას" ქურთუკებით ითბუნებიან და როცა პერსონალი „ადიდასის" ალჭურვილობით სარგებლობს, საქმე უკვე დამთავრებულია და წარმატების იმედიც აღარ არის. მით უმეტეს, როცა ლურჯ-ყვითელ უკრაინას უცქერს.

მოკლედ, აგერ შედეგი — სამარცხვინო 0:6.

— ფინელმა მსაჯმა თამაში ფაქტობრივად ოც წუთში დაამთავრა. პირველი გოლისას თამაშგარე გაატარეს, მეორე გოლისას კი პენალტი მოიგონეს — ამბობს ნამატჩევს გოჩა ტყებუჩავა. ჩემს კითხვას, ახალგაზრდული ნაკრების აგრესიული თამაში უხეშობაში ხომ არ გადადის, ვინაიდან წინა, ალბანეთთან მატჩში ორი ქართველი გააძევეს, დღეს კი ალადაშვილი და თან სამი ფეხბურთელი გააფრთხილეს, ტყებუჩავამ ასე უპასუხა, არა, რას ამბობთ, ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ, ბიჭები შესვენების შემდეგ აიჭრნენო.

აიჭრებოდნენ, აბა, რა იქნებოდა, როცა 45 წუთის შემდეგ ანგარიში 4:0 იყო.

აიჭრებოდნენ, როცა ჩვენებმა ვერაფერი მოუხერხეს მასპინძელთა ტანმაღალ თავდამსხმელ მილევსკის და მას და მის მეწყვილე ვორობეის ექვსი გოლი გააკეთებინეს.

აიჭრებოდნენ, როცა კაპიტანი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე თავის გუნდში, „თბილისში" ბარე ერთი თვის უთამაშებელია, ახალგაზრდულ ნაკრებში კი გამთამაშებლის ფუნქცია დაეკისრა.

აიჭრებოდნენ მაშინაც, როცა 5:0-ზე უკრაინელთა კუთხურისას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თერთმეტივე ფეხბურთელი საკუთარ საჯარიმოში „ჩაიკეტა" და მწვრთნელს არც უთქვამს, ამას რას აკეთებთო.

ერთხელაც მაშინ აიჭრებოდნენ, როცა მე-60 წუთზე, ასევე 5:0-ზე, მწვრთნელმა ცენტრალური მცველი გიგაური ხუბუათი შეცვალა და რამდენიმე წუთის შემდეგ დაინახეს, შეცვლაზე შესულმა მარჯვენა ფლანგიდან საგოლე შეტევის ჩაშლა ვარდნაში, მარჯვენა ფეხითვე და, რა თქმა უნდა, უშედეგოდ რომ სცადა.

აიჭრნენ... აუ, როგორ არ შეესაბამება ეს სიტყვა გუშინდელ თამაშს. კი არ აიჭრნენ, წააგეს, პირწმინდად წააგეს. ჩვენი 21-წლამდელები უკრაინელ თანატოლებს ყველაფერში დაეჩაგვრინენ.

აბა, გოლებს აღწერას რა აზრი აქვს, როცა უკრაინელებმა ექვსივე გოლი მარჯვენა ფლანგიდან გაიტანეს ან გააკეთეს. თბილისელი ხოჯავასგან დაცვით თამაშს, ალბათ, არც უნდა ელოდო, „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელ იმედაშვილს კი მეტი ყურადღებაც მართებდა.

...და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ქართველებიდან საუკეთესო... დინამოელი მეკარე ირაკლი თოთლაძე იყო.



ბაჩო ქორიძის ფოტო

**ყაზახეთი 0:1 ალბანეთი**

0:1 სალიჰი (80)

**დანია 1:1 თურქეთი**

1:0 რასმუსენი (36), 1:1 იბრაჰიმი (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 4 | 3 | 0 | 1 | 10:3 | 9 |
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| თურქეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:7 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |

# geo_geo_fan@hotmail.com

დღეს დიდი მატჩია და ამ დიდ მატჩს სადღეგრძელოსავით წავუმძღვაროთ geo_geo_fan რუბრიკის წერილები — თქვენი ანუ ჩვენი მკითხველის წერილები. ერთი ეგაა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შერცხვენამ ამ წერილ-სადღეგრძელოებსაც დაატყო კვალი, მაგრამ დღეს ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა თუ ივაჟკაცა, ახალგაზრდათა მარცხი უფრო იოლი გადასატანი იქნება.

დღეს საღამოს კი, თამაში რომ დამთავრდება, არ დაიზაროთ და, კომპიუტერზე ხელი თუ მიგიწვდებათ, თქვენი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეთ.

SUPERMARIO: ყველამ იცის, რომ გოჩა ტყებუჩავა მონდომებული და გულიანი მწვრთნელია, მაგრამ ყველამ იცის ისიც, რომ მას საერთო ინტელექტი ღალატობს. აგრესია, აგრესიაო, იძახის, მაგრამ მხოლოდ ესაა ფეხბურთი?

0:6, რა, იტალია და არეცოა? მაშინ 1996 წელი იყო და რვა წლის შემდეგაც იგივე გვემართება?

და საერთოდ, სანამ მერაბ ჟორდანია იქნება ფედერაციის პრეზიდენტი, სულ ასეთი უბედურების მოლოდინში ვიქნებით. ჟორდანიას ბოსკამპი მოყავდა ახალგაზრდულ მწვრთნელად, მაგრამ ჰოლანდიელისთვის ფული ვერ გამონახა თუ ვერ გაიმეტა. ახლა კი უყურეთ ტყებუჩავას და 0:6-ს!

შესავალში რომ დაგპირდით, წერილ-სადღეგრძელოებს დავბეჭდავთ-მეთქი, ჯერჯერობით არ გამომდის, პირველი წერილი ძალიან გაბრაზებული მკითხველისგან იყო. აი, მეორე წერილში კი არის სადღეგრძელოს მაგვარი რამ, ოღონდ ეს წერილიც ძალიან ბრაზიანად იწყება:

— ქუთაისურად რომ ვთქვა, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ მაგრად ჩეისვარა. ტყებუჩავას რომ ჰკითხო, აგრესიულ ფეხბურთს ქადაგებს, მაგრამ აგრესიასაც ტვინი რომ უნდა, ეს არ იცის. უტვინობაა, აბა რა არის — ბოლო ოთხ თამაშში მსაჯებმა ექვსი ჩვენიანი გააგდეს!!! და ამის მერე ტყებუჩავა ამბობს, ჩვენი აგრესია უხეშობაში არ გადადისო.

ეტყობა, ეს წაგება იმიტომ გაგვიტყდა, რომ ბოლოდროინდელი წარმატებები ეიფორიაში გვაგდებდა. ისე, 0:6 მაინც მეტისმეტია და ამაზე შევთანხმდეთ.

დღეს კი სხვანაირი იმედი მაქვს. ნაკრებში ასეთი საბრძოლო განწყობა არ მახსოვს. უფრო სწორად, ერთხელ ვნახე ასეთი ნაკრები — შუშაკი რომ დანიშნეს რუსეთთან თამაშის წინ, მაშინაც გადასარევი განწყობა იყო გუნდში. ასე რომ... იმედი მაქვს და რა ვქნა?!

თქვენი KUTAISELI

ქართველი ახალგაზრდების მარცხი მომდევნო წერილშიც არის ნახსენები, ოღონდ მის ავტორს ეს რატომღაც არ აბრაზებს.

GLDANI: ძალიან მეწყინაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც გამხარებია, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 0:6 რომ წააგო. ჩემთვის მთავარია, ეროვნული ნაკრები რას იზამს. იმანაც რომ წააგოს, ეგ კი ძალიან მატკენს გულს. მაგრამ ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ არ წააგებს. ფრე მგონია, რაც კარგი შედეგი იქნება.

ბოლოსთვის კი ნაღდი სადღეგრძელო შემოვინახე.

VASHALOMIDZE 18: აი, თქვენ გაზეთში რომ გეწერათ, ჩვენი გულები ნაკრებს ლვოვში მიყვებაო, ნაღდად ეგრეა. ყველანი მოუთმენლად ველოდებით ამ თამაშს. ხომ ამბობენ, რომ ფრე კარგია, კი ვიცი, რომ ეგრეა, მაგრამ გუნდი მოსაგებად უნდა გავიდეს. ფრეზე თუ იფიქრეს, წავაგებთ. მე მჯერა, რომ მოგებაც შეგვიძლია.

ამით ხვალამდე გემშვიდობებით, იმ სამ მკითხველს, რომელთა წერილებიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მატჩამდე მივიღეთ, ბოდიშს ვუხდით — გვინდოდა, რუბრიკაში U-21-ის მარცხით გამოწვეული ემოციებიც აგვესახა, თორემ ეჭვი გვაქვს, ხვალ მხოლოდ ეროვნულ გუნდზე მოგვწერთ წერილებს და ახალგაზრდული აღარ გაგახსენდებათ.

პატივისცემით

**WEB ოსტატი გუარა**

geo_geo_fan@hotmail.com

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

ყაზახეთი — ალბანეთი

# მე ვარ ყაზახი, ესე იგი, მე ვარ ევროპელი

## აზიელების შანსი საალბათ-საალბანეთოა

მეორე შესარჩევი ჯგუფის აზიელი მაჩანჩალა დღეს ალბანეთს მასპინძლობს. ევროპაში „გადმოსახლებული“ ყაზახები ჰანს-პეტერ ბრიგელის გუნდს ალმათში, ცენტრალურ სტადიონზე ეთამაშებიან.

ალბანელებმა ორწლიანი საშინაო წაუგებელი სერია ოთხი დღის წინ დანიასთან შეწყვიტეს და აზიასაც უხასიათოდ ესტუმრნენ. ბალკანელები ქვეყნის საუკეთესო სასტუმროებში დაბინავდნენ. ახალგაზრდული ნაკრები — „რეჰატ პალასში“, ეროვნული კი „ანკარში“.

ჰანს-პეტერ ბრიგელს რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა არ აწუხებს. ფეხბურთელები ჯანზე ჰყავს და მოსაგებადაც ამზადებს. ეგაა, დურო და მურატი დისკვალიფიცირებულნი არიან.

კბილებს ილესავენ მასპინძლებიც. ყაზახების აზრით, სწორედ ალბანეთია ის გუნდი, რომელთან დატოლებაც ხელეწიფებათ. იქნებ პირველი ევროპული ქულით გავიხაროთო, იმედი აქვთ.

თურქეთთან 0:4 წაგების მერე ხმა დარხეულა, სერგეი ტიმოფეევი გადადგომას აპირებსო, თუმცა მწვრთნელმა დარჩენა გადაწყვიტა და ჟურნალისტების კითხვებს გუშინდელ პრესკონფერენციაზე უპასუხა...

**— თურქეთთან ამხელა ანგარიშით რატომ დამარცხდით?**

— მათ შემოთავაზებულ ტემპს ვერ გავუძელით. პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, მერე კი გამოჩნდა, რომ ფეხბურთელები დაიღალნენ. თუმც გამოცდილება მივი-



სერგეი ტიმოფეევი

ღეთ და ეს მომავალში გამოგვადგება.

**— ჩვენი ფეხბურთელების ზლაზვნა რისი ბრალია?**

— ჩვენივე ჩემპიონატის. ასეთი ნელი ფეხბურთით ვერ გავფრინდებით.

**— მცველები ბურთს ხეირიანად ვერც აჩერებდნენ და ვერც იგერიებდნენ...**

— იმიტომ, რომ მათ ეს არ უსწავლიათ. ჯერ უნდა ვიმეცადინოთ და მოგვეცით საამისოდ მცირე დრო. შედეგები მერე მოგვთხოვეთ...

მოკლედ, ყაზახები ისეთ დღეში არიან, მტერს არ უსურვებს კაცი. ტიმოფეევიც ზოგიერთი ქართველი მწვრთნელივით ლაპარაკობს და როდემდე ადროვებენ, ძნელი სათქმელია.

ალბანეთზე კი მწვრთნელი ასეთ კომენტარს აკეთებს: „ალბანელებს სერიოზული გუნდი ჰყავთ. მათი თამაშის სტილი ბერძნებისას ჰგავს. განსაკუთრებით სახიფათონი არიან კლოდიან დურო და ედვინ მურატი და ძალიან მიხარია, რომ ორივე დისკვალიფიცირებულია“.

ტიმოფეევის პრობლემებს მეკარის ტრავმაც ემატება — იური ნოვიკოვი თურქებთან მატჩში დაშავდა და ჯერაც ვერ ამბობენ, შეძლებს თუ არა თამაშს. თუმც, ყაზახების აზრით, ანდრეი მორევიც არაა ურიგო მეკარე — ის „ეკიბასტუზეცში“ ჩვენებური ზურაბ არჩვაძის თანაგუნდელია და თურქეთის ნაკრებთან თამაშით მიიქცია ყურადღება — მორევმა ნოვიკოვი მეორე ტაიმში შეცვალა და ფათიჰ ტეკეს პენალტიც აუღო.



იური ნოვიკოვმა თურქეთთან მატჩი ვერ ჩაამთავრა

**ბაჩა ვალამბერიძე**

დანია — თურქეთი

# რომანტიკა და მძაფრი სიუჟეტი

## ოლსენი იანალთან აღარ გაიმეორებს

მორტენ ოლსენი რომანტიკოსი მწვრთნელია და მაშინაც ხატავდა, როცა ბრიუსელის „ანდერლეხტის“ და დანიის ნაკრების ლიბერო იყო. ოთხი წელია, ოლსენი დანიის უპირველეს გუნდს მწვრთნელობს და დღეს დანიის ნაკრებს 1984-86 წლებისას ადარებენ — მაშინ ზეპ პიონტეკის ნაწრთობმა დანიამ ევროპა და მსოფლიო ააყვირა.



იონ დალ ტომასონი

შედარების მადა ახლა უფროა აღძრული, ვიდრე პორტუგალია 2004-ის დროს — ოლსენის გუნდი ახლა ადრინდელზე უფრო მზარდი და საინტერესოა — ასეთია საერთო აზრი დანიაში და საერთოდ ევროპაში. დღეს კი „ოლსენის დანიამ“ ეს ერთხელაც უნდა დაამტკიცოს თურქეთთან.

დანია და თურქეთი ერთმანეთს სულ ოთხჯერ შეხვედრიან, აქედან ფინალურ ეტაპზე ერთხელ — 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ინგლისში სკანდინავიელებმა 3:0 მოუგეს ოსმალოებს.

დანიას დღესაც არ ეყოლება „ასტონ ვილას“ მეკარე თომას სორენსენი — მის ადგილს, როგორც ოთხი დღის წინ ალბანეთთან, „მიდტიულანდის“ გოლკიპერი პეტერ სკოვ-იენსენი დაიკავებს. მეორე მნიშვნელოვანი დანაკლისი კი „ასტონ ვილას“ ცენტრალური მცველი მარტინ ლაურსენია — ალბანეთთან არც მას უთამაშია.

და როგორ ითამაშა 9 ოქტომბერს დანიამ ტირანაში? ხისტად და ლამაზი კონტრშეტევებით, 1984-86 წლების დანიის სტილში.

თავდასხმის ცენტრში იონ დალ ტომასონი, ვისაც აქეთ-იქიდან ევერტონელი თომას გრავესენი და ჩელსელი იესპერ გრონკიაერი დაეხმარებიან — ალბათ ასე შეუტევს დანია თურქეთს კოპენჰაგენში.

ოლსენის განკარგულებაში კიდევ ორი ჩინებული შემტევია — ფიორენტინელი მარტინ იორგენსენი და ჩარლტონელი დენის რომედალი.

მატჩამდელ პრესკონფერენციაზე ოლსენი ზოგადი ფრაზებით საუბრობდა, თუმც ერთხელაც თქვა, პირველ ტურში შინ უკრაინისთვის უნდა მოგვეგოო. ის მატჩი 1:1 დამთავრდა — გაწბილებული დავრჩი, ჩვენ ისე ვითამაშეთ, როგორც გვინდოდა, მაგრამ მეტოქეს მხოლოდ ერთი შანსი მივეცით და ვერ მოვიგეთ, თურქეთთან ეს აღარ უნდა განმეორდეს — განუცხადებია ოლსენს.

რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, ერსუნ იანალის გუნდი მაინცდამაინც ვერ კაშკაშებს, მაგრამ კერკეტი კაკალი კია. ჰოდა, დღევანდელი ევროპული მატჩებიდან კოპენჰაგენური ერთ-ერთი მძაფრსიუჟეტიანი უნდა იყოს.

**დავით თავართქილაძე**

# უკრაინელმა ჟურნალისტებმა კალაძეს ჯიბეში და პირად ცხოვრებაში ჩახედეს

დანიასთან კოპენჰაგენში და ბერძნებთან კიევში მოპოვებულმა ქულებმა უკრაინელები აშკარად გაადიდგულა. რა გასაკვირია, რომ დღეს ქართველებთან უეჭველ მოგებას ელიან და მეტიც, სამი ქულა უკვე ჯიბეში ჰგონიათ. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ უკრაინელი ჟურნალისტის სიტყვები, რომელიც კახა კალაძეს ეკითხება — განზრახ ხომ არ დააგროვე ყვითელი ბარათები, რათა შევჩენკოსთან დაპირისპირება აგეცილებინა თავიდანო. კახამაც კარგად უპასუხა: „რა სისულელეა, ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ ლვოვის სტადიონზე მისი მტერი ვიქნებოდი. ძალიან მინდოდა უკრაინასთან თამაში, საქართველო დაკარგული ქულებით ჯგუფში პირველ ადგილზეა და დიდი შანსია, ასევე გავაგრძელოთ“.

როგორც იცით, ქართველი მცველი ლვოვში ვერც ჩავა, „მილანს“ ორჯერადი ვარჯიშები აქვს და ვერ გავაცდენო. უკრაინელ მასმედიელს ჩვენი ნაკრების ფინანსური დეტალებიც აინტერესებს, კარგი სტარტისთვის დიდ პრემიალურებს მიიღებდითო. თუმცა კალაძე უემოციოდ პასუხობს: „სასწაული თანხა არ მიგვიღია, მაგრამ ქართველი ფეხბურთელები ამას პრინციპულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, ჩვენი ქვეყნის გახარება გვინდა. საქართველოს ახალი პრეზიდენტი, ახალი მთავრობა ჰყავს, ბევრი ცვლილებებია და ხალხი ზეიმს ელის. ისე, რატომ დაგიმალოთ, თურქეთში ფრისთვის იმდენივე თანხა გადმოგვცეს, რამდენიც ალბანეთთან მოგებისთვის. თუ მაინცდამაინც ფინანსებზეა ლაპარაკი, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულ გუნდებს ფიფა 8 მილიონ დოლარს გადასცემს, რაც პატარა საქმე არაა“.

კახა მუნდიალზე მოხვედრის შანსებზეც საუბრობს და საკმაოდ ოპტიმისტურადაც, მართალია, მძიმე ბრძოლები გველის, მაგრამ ჩვენი მიზანი პირველი ადგილის დაკავებაა, რაც არარეალური არ არის, ბოლოს და ბოლოს, იტალია ან ინგლისი ხომ არ გვყავს ჯგუფშიო...

მომდევნო კითხვები შევჩენკოსთან მეგობრობას და კალაძის მალე დაოჯახებას შეეხებოდა: „დაბადების დღე ანდრეის „მილანის“ ყველა ფეხბურთელმა ერთად მივულოცეთ, სუვენირები და ნაირნაირი დანები ვაჩუქეთ. პირადად მე ჯანმრთელობა და წინსვლა ვუსურვე. ეს ყველაზე მთავარია. დაოჯახებისა რა გითხრათ, რჩეული მყავს, მაგრამ არა მგონია, უახლოეს ხანში ვიქორწინოთ“.

კალაძე კალაძედ და, ისევ უკრაინელთა თამამ პროგნოზებს დავუბრუნდეთ.



გამოკითხული მოსახლეობის 88 პროცენტს ბლოხინის გუნდის გამარჯვების სჯერა, 9,6 პროცენტი ფრეს გუმანობს, 2,4 პროცენტი კი ქართველებზე დგას...

**ილია ნანოჩაშვილი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. IV ტური

I ჯგუფი

## ფინეთი ჰოლანდიიდან ჰოლანდიის წინააღმდეგ

### ლიტმანენი ამსტერდამში ბრუნდება

**ჰოლანდია – ფინეთი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვან დერ სარი, ნ. დე იონგი, ჰეიტინგა, კოკუ, ბუმა (ვან ბრონკჰორსტი), სნეიდერი, ვან ბომელი, დავიდსი, კასტელენი, ვან ნისტელროი, კუიტი

ნიემი, პასანენი, საარინენი, ჰიიპია, ვაირინენი, ნურმელა, კოლკა, კუივასტო, რიიჰილაჰტი, კუქი (ლიტმანენი), ერიომენკო

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

**რუუდ ვან ნისტელროი** ჰოლანდიელთა ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება და ფინელების წინააღმდეგ გაუძღვება — მაკედონიასთან დაკარგულ ქულებს ანაზღაურება სჭირდება. შეგახსენებთ: ვან ნისტელროი მაკედონიელებთან 2:2 ნათამაშებ შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო არ იყო.

მაშ ასე, ჰოლანდიელებს ჯგუფის მოულოდნელ ლიდერთან უცილობელი გამარჯვება სჭირდებათ და მერე ალბათ, ყველაფერი მათთვის სასურველ კალაპოტში ჩადგება.

ფინელებმა კი შესარჩევი კამპანია რუმინელებთან 1:2 მარცხით დაიწყეს, მაგრამ მერე ორჯერ სომხეთსა და ერთხელ კი ანდორას აჯობეს და როგორც გაირკვა, რუმინელებს ბურთების უკეთესი სხვაობის გამო გადაასწრეს კიდეც — ცხრილში პირველ ადგილზე ამოჰყვეს თავი.

დღეს ფინელებს თავის დროზე „აიაქსში" ჭიპმოჭრილი იარი ლიტმანენის იმედი აქვთ. ლიტმანენს ბარძაყის კუნთი სტკიოდა, მაგრამ ანტი მუურინენის გუნდში იმედოვნებდნენ, რომ ამ სალამოსთვის ვეტერანს ტკივილი დაუამდებოდა. ლიტმანენმა შაბათს სომხეთის წინაალმდეგ (3:1) ვერ ითამაშა.

ჰოლანდიელთა მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი კი დაცვაში აიაქსელ ჯონი ჰეიტინგას უპირებს გამოყვანას, ხოლო ნახევარდაცვაში დისკვალიფიცირებულ ხალიდ ბულარუზს სავარაუდოდ, ან უესლი სნეიდერი შეცვლის, ანაც ეინდჰოვენელი თეო ლუსიუსი.

ბოლო დღეებში გუნდისგან დამოუკიდებლად ვარჯიშობდა შაბათის შეხვედრაში პირველი გოლის ავტორი უილფრედ ბუმა, რომელსაც მცირე ტრავმა ჰქონდა, მაგრამ ჰოლანდიელი ექიმები ამბობენ, რომ ის მაინც ითამაშებს.

საინტერესო კი ისაა, რომ ფინელთა სავარაუდო შემადგენლობაში ხუთი კაცი ჰოლანდიის ჩემპიონატიდან არის.

**პაპუნა ძედია**

**ანდორა — მაკედონია**
**სომხეთი — ჩეხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |
| სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |


ჰოლანდიელებმა მარკო ვან ბასტენს დღეს აუცილებლად გავახარებთო

III ჯგუფი

## რუსული პარადოქსი

### პორტუგალია გაასამებს

**პორტუგალია – რუსეთი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

რიკარდუ, პ. ფერეირა, მ. მონტეირუ, რ. კარვალიუ, ჟორჟე ანდრადე, კ. რონალდო, კოშტინია, მანიშე, დეკო, პაულეტა, სიმაო

მალაფეევი, ევსეევი, სენიკოვი, იგნაშევიჩი, ბუგაევი, სმერტინი, კარიაკა, ალდონინი, ალენიჩევი, ბულიკინი, სიჩოვი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)


მასპინძელთა მეკარე რიკარდუს...

**ლიხტენშტაინში** გამაოგნებელი 2:2-ის შემდეგ, პორტუგალია რუსეთს მასპინძლობს და მისი თავმოყვარეობის ამბავიც იქ ჩააბარებს გამოცდას.

ცნობისთვის: პორტუგალიელები და რუსები აქამდე ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ორივეჯერ გამარჯვება პორტუგალიელებს დარჩენიათ. პირველად ეს მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე, ინგლისში მოხდა, როდესაც რუსეთს დიდი იმპერია ჰქონდა, სახელად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერქვა და ამ რესპუბლიკებიდან აკრეფილი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელებით იყო გაძლიერებული.

მესამე ადგილისთვის თამაში იყო, პორტუგალიის ნაკრებში ლეგენდარული ეუსებიო თამაშობდა და ანგარიშიც სწორედ მან გახსნა პენალტით, ქართველმა მურთაზ ხურცილავამ საჯარიმოში შემთხვევით ხელით რომ ითამაშა. ამ გოლს კიდევ ერთმა ჩვენმა თანამემამულემ, სლავა მეტრეველმა უპასუხა, მაგრამ ბოლოს, 88-ე წუთზე ჟოზე ტორესმა მაინც გამოჰგლიჯა გამარჯვება სსრკ-ს.

მეორედ კი პორტუგალია უკვე რუსეთის იმ სახელმწიფოს ნაკრებს შეხვდა, რომელსაც სსრკ ალარ ჰქვია. ეს ახლა, ივნისში, ევრო 2004-ზე მოხდა და ამიტომ მასზე ალარ შევჩერდებით, ანგარიშს კი შეგახსენებთ: პორტუგალიამ 2:0 მოიგო.

ახლა კი ასე ვთქვათ — თუ ჩავთვლით, რომ ფრე ვადუცში უფრო შემთხვევითობა იყო და არა რაიმე სერიოზულის სიმპტომი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღეს ლისაბონის „ჟოზე ალვალადეზე" გადამწყვეტი პორტუგალიელი ფორვარდების და რუსი მცველების დაპირისპირება იქნება და ყველა პირობაც არსებობს საიმისოდ, რომ პორტუგალიელთა გამარჯვება ვიწინასწარმეტყველოთ. რატომ? ჩამოვთვალოთ პორტუგალიელი შემტევები: სიმაო, მანიშე, დეკო, კრისტიანო რონალდო და პაულეტა — დაგვეთანხმებით, რუსეთის კარში გოლი ნებისმიერ წამს შეიძლება გავიდეს. და, ყველაფერ ამას უბრალოდ დაამატეთ მაყურებლის მხარდაჭერა.

თუმცა, მოდით, მიკერძოებაში რომ არ ჩაგვითვალონ, საკითხს მეორე გუნდის მხრიდან შევხედოთ: რუსეთი, მიუხედავად მუდმივი საშუალო ევროპული დონისა, უმაღლეს დონეზე ჩავარდნებით ცნობილი გუნდია და თუ ცხრილს შევხედავთ, ვნახავთ, რომ იქ მხოლოდ ოთხი ქულა უწერია. დიახ, გეორგი იარცევის ქვეშევრდომებმა ლუქსემბურგს 4:0 მოუგეს, მაგრამ მანამდე, შინ, სლოვაკეთთან გაცილებით სუსტები ჩანდნენ.

და საერთოდ, ევროპულ საფეხბურთო პრესაში შეგვხვედრია ასეთი გამოთქმა, „რუსული პარადოქსი", რაც საკმაოდ საინტერესოდ ჩანს ევრო 2004-ის მაგალითზეც: გუნდი პირველივე ეტაპიდან გავარდა და ერთადერთი შეხვედრა მოიგო — მომავალ ჩემპიონ საბერძნეთთან...

**პაპუნა ძედია**

**ლუქსემბურგი — ლიხტენშტაინი**
**ლატვია — ესტონეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:3 | 10 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ესტონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | 3 |
| ლიხტენშტეინი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:11 | 1 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:15 | 0 |


– რუსებიდან უპირველესად დმიტრი სიჩოვი (№11) დაემუქრება

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. IV ტური

## IV ჯგუფი

## ნითელი მზე, ხმელთაშუა ზღვა?


საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკს ტიერი ანრის და პატრიკ ვიეირას იმედი კვლავაც აქვს

REUTERS

### კვიპროსი — საფრანგეთი

**საავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| პანაიოტუ, ოკარიდისი, ნიკოლაუ მაკრიდისი, ოკასი, გეორგიუ, ე. ხარალამბუსი, ელია, კრასასი, კ. ხარალამბუსი, კონსტანტინუ | ბარტეზი, გალასი, გივე, სკილაჩი, ევრა, ვილტორდი, ვიეირა, დაკური, პირესი, ანრი, ლუინდულა |

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

**კვიპროსი** რეიტინგში ძალიან მაღლაა, ოღონდ თუ ტურიზმზეა ლაპარაკი. რაც შეეხება ფეხბურთს, მით უფრო, თუ მეტოქე საფრანგეთია, კუნძული რეიტინგში მაღლა ყოფნით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. ერთი სიტყვით, ლოგიკურად ისე გამოდის, რომ ფრანგებს სასიამოვნო და სასარგებლო გასეირნება უწევთ — თან დასვენება და თანაც სამი ქულა.

დავიჯეროთ ეს ამბავი?

როგორც გენებოთ. მოდით ასე შევთანხმდეთ, ზოგმა დავიჯეროთ და ზოგიც ნუ დავიჯერებთ, ერთი კი ფაქტია, თუ მსოფლიოსა და ევროპის ყოფილმა ჩემპიონებმა არ მოიგეს, გამოვა, რომ ისრაელსა და ირლანდიასთან გაფლანგულ ქულებს ახლებიც დაემატება და მერე რაღა მოხდება კაცმა არ უწყის.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს, რაიმონ დომენეკს წესით ძალიან კარგად უნდა ახსოვდეს 1988 წლის ოქტომბერი, როდესაც ანრი მიშელის გაწვრთნილმა „ლურჯებმა" აქ მხოლოდ 1:1 ითამაშეს და... ეს იყო მიშელის ბოლო დღე იმ სამსახურში.

კიდევ, კვიპროსელებმა ევრო 2000-ის წინ, საფრანგეთის მეზობელი ქვეყნის, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი, ხავიერ კლემენტე გაათავისუფლეს სამსახურიდან. მაშინ ესპანეთმა კუნძულზე 2:3 წააგო.

ერთი სიტყვით, კვიპროსელები არც მთლად ხელწამოსაკრავნი არიან თვით ფეხბურთში მაღალრეიტინგიანი ქვეყნებისთვისაც კი.

ახლა საფრანგეთის ნაკრებზეც: „ლურჯებს" პატრიკ ვიეირა უბრუნდებათ, მას დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა — შეგახსენებთ, არსენალელი ფარერებთან სტუმრად 2:0 გამარჯვების დროს გააძევეს მოედნიდან და ამის გამო შაბათს, ირლანდიის ნაკრებთან არ უთამაშია.

და, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ვიეირას დაბრუნება ფრანგთა ნაკრებისთვის უკიდურესად საჭირო წამს ემთხვევა. ნუ დაგვავიწყდება, რომ „ლურჯები" ზინედინ ზიდანის შემდგომ ეპოქაში იწყებენ ცხოვრებას და პირველი ნაბიჯების გადადგმა ძალიან უჭირთ. პლუს დაშავებულები არიან დავიდ ტრეზეგე და ლუდოვიკ ჟიული.

თუმცა, საკითხს კიდევ ერთი მხარე აქვს — შაბათს, ირლანდიასთან ფრის მიუხედავად, ფრანგებმა საკმაოდ ნორმალურად ითამაშეს — ყოველ შემთხვევაში ასე თქვა დომენეკმა — თუმცა, თუ ამ და დიდებისდროინდელ საფრანგეთს შევადარებთ ერთმანეთს, ბუნებრივია ცასა და დედამიწასავით განსხვავებასაც დავინახავთ.

და კიდევ ერთი, ფრანგები იმედოვნებენ, რომ ვარსკვლავთ ვარსკვლავი ტიერი ანრი ბოლოს და ბოლოს ნაკრებშიც ისევე ათამაშდება, როგორც „არსენალში".

„ჩვენ კვიპროსზე აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ეს ჩვენი ერთადერთი მიზანია. ირლანდიამ ხომ ორი ქულა დაგვაკარგინა, რაც მისთვის კი ძალიან კარგი იყო, მაგრამ ჩვენთვის იყო ცუდი" — განაცხადა ფრანგების მწვრთნელმა.

ბოლოს კი ისიც ვნახოთ, რითი იმშვიდებენ ფრანგები თავს: თუ გახსოვთ, ევრო 96-ის შესარჩევი ციკლი ემე ჟაკეს ხელმძღვანელობით მათ სამი უგოლო ფრით დაიწყეს. ეს ათი წლის წინ იყო. მას მერე კი დაიწყო და დაიწყო...

**პაპუნა ძედია**

**ირლანდია — ფარერები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 1 | 2 | 0 | 9:3 | 5 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 5 |
| ისრაელი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კვიპროსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 2:10 | 1 |

## V ჯგუფი

## სამქულიანი იტალიის კალათაში

### დღეს პარმაში კბილებს შეამოწმებენ

### იტალია — ბელარუსი

**საავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ბუფონი, ოდო, ნესტა, მატერაცი, პანკარო, ძამბროტა, გატუზო, დე როსი, ფიორე, ტოტი, ჯილარდინო | ხომუტოვსკი, კულჩი, იასკოვიჩი, ომელიანჩუკი, შტანიუკი, გურენკო, ლავრიკი, ბელკევიჩი, რომაშჩენკო, კორიტკო, ბულიგა |

მსაჯი: კარლოს მეხია დავილა (ესპანეთი)

**იტალია** კბილებს აკაწკაწებს და ისე ელოდება ბელარუსის ნაკრებს, რომელსაც დიდი მისია ერგო: ან საყოველთაოდ უნდა დაამტკიცოს, რომ იტალიელები იმ კბილებს სულ ტყუილად აკაწკაწებენ, რადგან უკვე დაცვივდათ ანაც კალენდარს უნდა ემსხვერპლონ — გამოვა, რომ არ გაუმართლათ, ლომს ხახაში მაინც და მაინც სლოვენიასთან დაჭრის შემდეგ რომ ჩაუვარდნენ. ბელარუსებმა კი იმ დღეს მოლდოველებს მოუგეს 4:0.

მაშ ასე, მას მერე, რაც მარჩელო ლიპიმ იტალიის ნაკრები ჯოვანი ტრაპატონისგან ჩაიბარა, გუნდმა უკვე ორჯერ წააგო (ოღონდ ერთხელ ამხანგურად), თუმცა „იუვეს" ყოფილი შეფი ამ ყველაფერს შიშით სულაც არ უყურებს.

„ჩვენ გუნდის მშენებლობის დასაწყისი ვართ და ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ფეხბურთელებს ამ მშენებლობისა სწამთ. ისინი ყოველ ვარჯიშზე ცდილობენ გეგმას აჰყვნენ და სამუშაო მთელი გულით შეასრულონ. სლოვენიასთან დამარცხება ძალიან ცუდი იყო და ის, რომ არ გაგვიმართლა, საბოლოოდ მაინც ვერ მოგვწმენდს პირს, მაგრამ იმ შეხვედრაში მთელი ძალითა და მონდომებით ვთამაშობდით, რაც ჩვენს პროგრესს ადასტურებს. ბელარუსთან უნდა მოვიგოთ და არანაირ კრიტიკას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ბოლოს და ბოლოს ერთი მარცხი ტრაგედია ხომ არ არის".


ფრანჩესკო ტოტის ადგილი მარჩელო ლიპის „სკუადრა აძურაში" ყოველთვის მოეძებნება

REUTERS

სლოვენიელებთან თამაშის შემდეგ, იტალიურ პრესაში არ შემწყდარა ფრანჩესკო ტოტის ლანძღვაც, მაგრამ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა „რომას" კაპიტანი ასე დაიცვა:

„ის ჩვენი გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელია და ეჭვი არ მეპარება, რომ ბელარუსთან ძალიან კარგად ითამაშებს. ტოტი უნიკალურია, განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული".

ტოტის მხარს უჭერს კიდევ ერთი რომაელი სიმონე პეროტაც:

„ხალხი მისგან საგანგებო ფეხბურთს არის ნაჩვევი და როდესაც ჩვეულებრივად თამაშობს, მის კრიტიკას იწყებენ. მე კი მგონია, რომ ფრანჩესკო ძალიან სწორად თამაშობს. საბრძოლო განწყობაზეცაა და გადაღლილიც არ გახლავთ".

აღსანიშნავია, რომ „სკუადრა აძურა" და ბელარუსის ნაკრები ერთმანეთისთვის უცხონი არ არიან. ეს ორი ქვეყანა ევრო 2000-ის შესარჩევ ჯგუფშიც ერთად იყო. მათი ორივე დაპირისპირება 1999 წელს გაიმართა და ანკონაში 1:1, ხოლო მინსკში 0:0 დასრულდა.

და კიდევ ერთ ფორვარდზე შევჩერდეთ. უფრო სწორად კი ვნახოთ, თუ როგორ უჭერს მხარს ნაკრების ერთი თავდამსხმელი, ლუკა ტონი მეორეს, ალბერტო ჯილარდინოს.

„ვფიქრობ, მე და მას გუნდში თანაარსებობა შეგვიძლია — ამბობს ტონი — ამბობენ, რომ ჩვენ თამაშის სტილით ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ ნორვეგიასთან მე და ბერნარდო კორადი ვიყავით მოედანზე და ჩემსა და ბერნარდოზე მეტი მსგავსება რაღა გინდათ? ერთი სიტყვით, თუ მწვრთნელი ჩემი და ჯილარდინოს ერთად თამაშს გადაწყვეტს, რატომ არ უნდა გვქონდეს ვარიანტები დამუშავებული?"

არადა, ამბობენ რომ ტონიმ დღეს სწორედ ჯილარდინოს ადგილი უნდა დაიკავოს „სკუადრა აძურას" ძირითად შემადგენლობაში.

ტონი დასძენს: „მე თუ მკითხავთ, სლოვენიასთან ალბერტომ ძალიანაც კარგად ითამაშა. მართალია, გოლი ვერ შეაგდო და თავდამსხმელებს, მოგეხსენებათ მაინც გოლებით აფასებენ, მაგრამ ეს გამოსწორდება. იმედი მაქვს, რომ ის მალე აღადგენს გოლების გატანას".

მაგრამ, ათამაშებს მარჩელო ლიპი ჯილარდინოს სასტარტო შემადგენლობაში თუ არა, ვფიქრობთ, ამ პარმელ ფორვარდს პარმაში „ენიო ტარდინიზე" საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თამაში მაინც მოუწევს. თუმცა, ვნახოთ...

საერთოდ კი, ამბობენ, რომ ლიპი შემადგენლობის გადახალისებას აპირებს. კერძოდ, მიმომხილველებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ზედიზედ ორი ვარჯიში გამოტოვა მაურო კამორანეზიმ. ასე, რომ ტრადიციული 4-4-2 განლაგებაში მარჯვენა ნახევარმცველობას ჯანლუკა ძამბროტა იკისრებს. სავარაუდოდ, სტეფანო ფიორეთი შეიცვლება დებიუტანტი მაურო ესპოზიტო — ანუ ფეხბურთელი გამოიცვლება მარცხენა ფრთაზეც — ხოლო მარჯვენა მცველად დისკვალიფიცირებული დანიელე ბონერას ნაცვლად მასიმო ოდო დადგება.

მასიმო ოდო: „ვაღიარებ, რომ ზოგადად არც იაპ სტამის დონის მცველი ვარ და არც პაოლო მალდინისა, მაგრამ „სკუადრა აძურაში" თამაშისთვის საჭირო ოსტატობა წესით ნამდვილად უნდა მქონდეს. ვნახავ, რას დამავალებს ლიპი და გავიგებ, რას მოელის ჩემგან".

**პაპუნა ძედია**

**მოლდოვა — შოტლანდია**

**ნორვეგია — სლოვენია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. IV ტური

VI ჯგუფი

## აზერბაიჯანი — ინგლისი

### სავარაუდო შემადგენლობები

| აზერბაიჯანი | ინგლისი |
|---|---|
| ჰასანზადე, ამირბეკოვი, ჰაჯიევი, ე. გულიევი, კ. გულიევი, შუქუროვი, მ. გურბანოვი, ი. მამედოვი, სადიგოვი, ს. ალიევი, ნაბიევი | რობინსონი, გ. ნევილი, ფერდინანდი, კემპბელი, ე. კოული, ჰარგრივსი, ლამპარდი, ბათი, ჯ. კოული, რუნი, ოუენი |

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

# ინგლისმა ბაქოში ბრილიანტი დაკარგა

**ინგლისი** აზერბაიჯანს ხვდება და იმის მიუხედავად, რომ აშკარა ფავორიტია, მენეჯერ სვენ გორან ერიკსონს გვარიანი საფიქრალი აქვს.

მთავარი საფიქრალი ისაა, რომ შვედი იმავე ტაქტიკას ვერ მოიხმარს აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ, რომლითაც უელსი დაამარცხა მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“. შაბათს მან თავისი ბრილიანტის სქემა გამოიყენა, რომლის დაბოლოებაც მეტოქის ნახევარზე უეინ რუნი იყო. რუნი მაიკლ ოუენისა და ჯერმენ დეფოს შემკვრელად თამაშობდა და ინგლისს კარგად გამოუვიდა სამი თავდამსხმელით თამაში.

ახლა ინგლისელებს ბრილიანტის ოთხი კაციდან ერთი, დევიდ ბექემი გატეხილი ნეკნის გამო არ ეყოლებათ, რაც დიდ დანაკლისად მიიჩნევა. ხოლო თუ ამას სტივენ ჯერარდის არყოფნასაც მივუმატებთ, ერიკსონი სამი კაცის ანაბარა შუახაზს ვერაფრით დატოვებს. ამიტომ, სავარაუდო ტაქტიკა 4-4-2 იქნება, ანუ ჯერმენ დეფო სკამზე დარჩება და რუნი-ოუენი შეწყვილდებიან. ეს ნაღდია, იმიტომ რომ ოუენი ბექემის არყოფნაში კაპიტნად დაინიშნა, რუნის კი სკამზე არავინ მოაცდენს.


სვენ გორან ერიკსონი: ბაქოში ნეტავ რა ტაქტიკით ვითამაშოთ?


ინგლისის ნაკრებმა „ტოფიკ ბახრამოვზე“ პირველად ივარჯიშა

REUTERS ბაქოდან

ბოლოხანს გამოვარდნილი ჭორების მიუხედავად, ერიკსონმა არ გამოუძახა „მანჩესტერ სიტის“ შონ რაიტ-ფილიპსს, რომელიც ბექემის შემცვლელად მოიაზრებოდა. ალბათ იმ მოტივით, რომ შეტევაში საუცხოო რაიტ-ფილიპსი მეტოქეთა კონტრშეტევების დროს ნაკლებ ეფექტურია.

აზერბაიჯანელთა მწვრთნელი, ლეგენდარული ბრაზილიელი კარლოს ალბერტო ჩატარებული სამი თამაშიდან აღებული ორი ქულით ხვდება ინგლისს და თუმცა, სავსებით ობიექტურად აფასებს თავისი გუნდის შანსებს, დანებებას, ცხადია, არ აპირებს.

და მაინც, თუ ინგლისი სამ ქულას აიღებს ამ საღამოს, ჯგუფის აშკარა ლიდერი შეიქნება და ისიც დასათვლელია, რომ დარჩენილი ექვსი თამაშიდან ოთხში მასპინძელი იქნება.

**ირაკლი გამყრელიძე**

უელსი — პოლონეთი
ჩრდ. ირლანდია — ავსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ავსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| უელსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |

VII ჯგუფი

## ლიტვა — ესპანეთი

### სავარაუდო შემადგენლობები

| ლიტვა | ესპანეთი |
|---|---|
| კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, ჯიაუკშტასი, ბარასა, შკერლა, ვენცევიჩიუსი, მიკალაიუნასი, მორინასი, დანილევიჩიუსი, იანკაუსკასი, რაძინევიჩიუსი | კასილიასი, სალგადო, პუიოლი, მარჩენა, დელ ორნო, ვიქტორი, ხავი, ხაბი ალონსო (ალბელდა), ბარახა, რაული, ლუკე |

მსაჯი: ერიკ პულა (საბერძნეთი)

# ყინვაში, თოვლში, ტალახში...
## არაგონესმა უარესიც მინახავსო


ლუის არაგონესი

**„ლიტვურ** სიცივეზე ნაკლებად ვფიქრობ. ფეხბურთელობის დროს, სტადიონზე ამაზე საშინელ ყინვაშიც გამოვსულვარ. უფრო საგანგაშო ცუდი გაზონია. „ჟალგირის არენის“ საფარი უვარგისია, ჩვენი მეტოქე კი სწრაფი და ფიზიკურად ძალიან ძლიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. გამარჯვების მისაღწევად სრული დატვირთვით მოგვიწევს ბურთაობა“ — ასე შეაფასა ესპანეთის ნაკრების დამრიგებელმა ლუის არაგონესმა ალგიმანტას ლიუბინსკასის ლიტვის ეროვნულ გუნდთან წინასამატჩო ვითარება.

დღეს ესპანელები ბალტიისპირელებს მათთვის უჩვეულო ამინდში შეერკინებიან — ვილნიუსმა მუნდიალის შესარჩევში მორიგ სამ ქულაზე მონადირე არმადას ოთხგრადუსიანი ყინვა და თოვლისგან ატალახებული მინდორი დაახვედრა.

მხცოვანი არაგონესი თავისი ნაკრების ტაქტიკას სწორედ მოწინაალმდეგის ძალის გათვალისწინებით ცვლის. „მიუხედავად იმისა, რომ შაბათს ბელგიას 2:0 ვძლიეთ, ლიტვასთან გარკვეულ ცვლილებებს მაინც მოვახდენ. დარწმუნებული ვარ, აქაურები ტრადიციულად თავიანთი ფიზიკური მონაცემების გამოყენებას შეეცდებიან, სახიფათო ფორვარდები ჰყავთ და ჩვენც ნახევარდაცვაში სწრაფი ხალხი გვჭირდება“ — აღნიშნა არაგონესმა პრესასთან საუბრისას.

ეს „სწრაფები“ სავარაუდოდ უნდა იყვნენ დეპორტივოელი ვიქტორი, ვინაც ბეტისელ ხოაკინს შეცვლის და ლივერპულელი ხაბი ალონსო, რომელიც წინა მატჩში მოედანზე ვალენსიელი დავიდ ალბელდას მაგივრად გამოჩნდა და მწვრთნელის მოწონებაც დაიმსახურა.

უკვე გითხარით, „ელ საბიოს“ რჩეული ფეხბურთელები ვილნიუსურ რთულ შეხვედრას მაინც იმედით შესცქერიან.

„კი, ბატონო, „ჟალგირის არენის“ ცუდ მინდორზე ბევრს ლაპარაკობენ, თუმც მთავარი მოედნის ავ-კარგი კი არა, ის კონკრეტული მოწინაალმდეგეა, რომელსაც ქულების მოსაპოვებლად უნდა შეებრძოლო. ვეცდებით, თოვლსა და ტალახს ალღო მალე ავუღოთ და ლიტვასთან მოგებით ჯგუფში დავწინაურდეთ“ — ამბობს ვიქტორ სანჩესი.

„ყველამ ვიცით, პირობები არასახარბიელოა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ლიტვის დამარცხებით მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ. პირადად მე ამ შანსის ხელიდან გაშვება არ მსურს“ — ასკვნის ხაბი ალონსო.


ხაბი ალონსო სწრაფი ნახევარმცველი ყოფილა

რაც შეეხებათ მასპინძლებს, მათი მთავარი დანაკლისი რობერტას პოშკუსი იქნება — მწვრთნელ ლიუბინსკასისა და მთელი ლიტვის სამწუხაროდ, სამარის „კრილია სოვეტოვის“ 25 წლის მოიერიშე ავტოავარიაში მოჰყვა.

სამაგიეროდ, ჩინებულ ფორმაშია ფრანგული „ნიცას“ ფორვარდი ედგარას იანკაუსკასი — ესპანელმა მცველებმა სწორედ მას უნდა მიაქციონ ყურადღება.

ლიტველთა დამრიგებელმა მოსკოვის „ტორპედოს“ იმანტას სამუსევასიც მიიწვია, რომელსაც კარგა ხანია, ეროვნულ გუნდში არ უთამაშია, თუმც მწვრთნელს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, დააყენოს თუ არა ტორპედოელი ძირითადში. საეჭვოა დეივიდას ჩესნაუსკისისა და აურელიუს შკარბალიუსის ბურთაობა, ისინი ტრავმებს უჩივიან.

„ვიცით, მეტოქე ჩვენზე გამოცდილი და აშკარად ძლიერია, თუმცა ყველანაირად ვეცდებით, საშინაო შეხვედრებში ქულები არ დავკარგოთ“ — ამბობს ალგიმანტას ლიუბინსკასი, ლიტველთა მწვრთნელი, რომლის გუნდიც სადღეისოდ მეშვიდე ევროპულ ჯგუფს ლიდერობს — ორი თამაშიდან ოთხი ქულა აქვთ აღებული. ამდენივე აქვთ ესპანელებსაც, ოღონდ ბურთების შეფარდებით არიან ჯერჯერობით მესამე ადგილზე.

**ლადო ხომერიკი**

სერბეთი — სან მარინო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| სერბეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბოსნია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

## VIII ჯგუფი

ისლანდია — შვედეთი
ბულგარეთი — მალტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:1 | 6 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| ისლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| მალტა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:7 | 1 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

## X ტური

გუშინ დაიწყო, დღეს გაგრძელდება და ხვალ დასრულდება მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთამერიკული ერთიანი შესარჩევი ჯგუფის მეათე ტური. გნებავთ ასე ვთქვათ — პირველი წრე დასრულდა და მეორე დაიწყო.

ალბათ, არ გვიწყენთ, ანონსში მხოლოდ ორი ბობოლას წინასამატჩო ამბებზე რომ ვწერთ. მით უმეტეს, ბოლივიამ და ურუგვაიმ წუხელ გვიან ღამით ითამაშეს და მის შედეგსაც დღევანდელი გაზეთის მეორე გვერდზედაც ნახავდით

### ბრაზილია — კოლუმბია

**სავარაუდო შემადგენლობები**

დიდა, კაფუ, ჟუანი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, რენატო, მაგრაო, ალექსი, ზე რობერტო, რონალდო, რონალდინიო

კალერო, ლ. პერეა, კორდობა, იეპესი, ბედოია, ო. დიასი, რესტრეპო, ოვიედო, ფ. გრისალესი, პაჩეკო, ანხელი

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)



მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა კაკას არყოფნაში ფენერბაჰჩელ ალექსს ათამაშებს

## ბრაზილიამ თქვა, მაგრაო

**დავიწყოთ** ბრაზილიით, რომელიც კოლუმბიას მასპინძლობს და რიკარდუ იზეკსონ სანტუშ ლეიტე, იგივე კაკა არ ეყოლება. მილანელმა ნახევარმცველმა შაბათს ვენესუელის ნაკრებს ორი გოლი კი გაუტანა, მაგრამ გაფრთხილებაც მიიღო, რომელიც მისთვის მეორე გამოდგა. შესაბამისად, კაკა დისკვალიფიცირებულია.

დაზუსტებით არაფერი თქმულა იმის თაობაზე, თუ ვინ შეცვლის „მილანის" ახალგაზრდა პლეიმეიკერს, თუმც ვარაუდები ცხადია, არსებობს. ეს შესაძლოა ფენერბაჰჩელი ალექსი იყოს, ვინაც ორშაბათის ვარჯიშზე კარლოს ალბერტო პარეირამ ძირითად შემადგენლობაში ათამაშა სათადარიგოებთან სპარინგისას.

არის მეორე ვარიანტიც, უკვე აპრობირებული: ამ ვარიანტის თანახმად, პარეირა შეტევაში რონალდოს და ადრიანოს გაამწესებს, რონალდინიოს კი მათ უკან ათამაშებს. ამგვარი განლაგებით ბრაზილიამ სექტემბერში ბოლივიის წინაალმდეგ ითამაშა, როცა კაკა არ ჰყავდა.

რომელ ვარიანტს ამჯობინებს მწვრთნელი, ამას მატჩის დაწყებამდე ვერ შევიტყობთ. იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ თუ პარეირა პირველ ვარიანტზე შეჩერდა, ადრიანოს ადგილი სასტარტოში არ მოიძებნება, არადა, ეს ფეხბურთელი ზაფხულში გამართული „კოპა ამერიკის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა შვიდი გოლით.

ბრაზილიელთა კიდევ ერთი დანაკარგი კოჭნატკენი საყრდენი ნახევარმცველი ჟუნინიო პერნამბუკანოა. მას სავარაუდოდ მაგრაო შეცვლის, რომლის სანაკრებო გამოცდილება მხოლოდ ერთ მატჩს ითვლის. ფიქრობენ, რომ ჟუნინიოს შეცვლა გაცილებით უფრო გამოცდილ ედუსაც შეუძლია, მაგრამ პარეირას ამის თაობაზე ასეთი მოსაზრება აქვს: „ისეთი გამოცდილი ფეხბურთელი, როგორიც ედუა, ნებისმიერ პოზიციას შეიძლება მოერგოს, მაგრამ ამას ვარჯიში და დრო სჭირდება. ჩვენ კი დრო არ გვაქვს, ამიტომაც ჟუნინიოს მაგრაოთი შეცვლა მირჩევნია, რაკი ისინი ერთი ამპლუის ფეხბურთელები არიან."

აქვე გავიხსენოთ ისიც, რომ ბრაზილიელებს უფრო ადრე ბარსელონელი ედმილსონი და არსენალელი ჟილბერტო სილვა გამოაკლდნენ.

ისიც გავიხსენოთ, რომ ბრაზილიისა და კოლუმბიის პირველი წრის შეხვედრა ბრაზილიელებმა 2:1 მოიგეს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები სულაც დაუმარცხებელნი არიან და ჯგუფსაც ლიდერობენ. ჯგუფიდან გერმანიაში ოთხი საუკეთესო გუნდი გაემგზავრება, მეხუთეადგილოსანი კი პლეიოფში ოკეანეთის საუკეთესოს შეხვდება.

კოლუმბიას ოთხეულამდე ოთხი ქულა აშორებს და ამდენად დაკარგული არაფერი აქვს. კოლუმბიელთა მეკარე მიგელ კალერომ თქვა: „წინ კიდევ ცხრა ტურია და ჩვენ შეგვწევს უნარი, ოთხეულში მოსახვედრად ვიბრძოლოთ. წაგების შესაძლებლობაზე ერთი წუთითაც არ გაგვიფიქრებია. ვინც თამაშის წინ მოგების გარდა რამეზე ფიქრობს, ფეხბურთში არაფერი ესაქმება."

**კოტე ძეძელია**

**ბოლივია — ურუგვაი**
**პარაგვაი — პერუ**
**ვენესუელა — ეკვადორი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 9 | 5 | 4 | 0 | 19:10 | 19 |
| არგენტინა | 9 | 5 | 3 | 1 | 18:9 | 18 |
| პარაგვაი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 |
| ეკვადორი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:8 | 13 |
| ჩილე | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 12 |
| ვენესუელა | 9 | 3 | 1 | 5 | 8:13 | 10 |
| ურუგვაი | 9 | 3 | 1 | 5 | 15:23 | 10 |
| კოლუმბია | 9 | 2 | 3 | 4 | 11:11 | 9 |
| პერუ | 9 | 2 | 3 | 4 | 10:11 | 9 |
| ბოლივია | 9 | 3 | 0 | 6 | 11:19 | 9 |

### ჩილე — არგენტინა

**სავარაუდო შემადგენლობები**

ტაპია, რ. როხასი, ფუენტესი, ოლარა, პ. კონტრერასი, მარტელი, ხ. გონსალესი, მელენდესი, ვალენსუელა, მ. სალასი, გალაზი

აბონდანსიერი, ძანეტი, კოლოჩინი, სამუელი, ჰაინცე, კილი გონსალესი, მასკერანო, რიკელმე, სორინი, სავიოლა, ტევესი

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

## პეკერმანის არგენტინა კურდღლებს დაერია

**წინა** შაბათს, ხალხს, ვინაც არგენტინის და ურუგვაის ნაკრებთა თამაში ნახა, ძველი არგენტინა გაახსენდა. ახალმა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა გუნდი ძველარგენტინულად ათამაშა და ერთბაშად ორი კურდღელი მოკლა — იმათი გულებიც მოიგო, ვინც თვლიდა, რომ მთავარი მოგებაა და თამაშის სტილს მნიშვნელობა არ აქვს და იმათიც, ვისაც მიაჩნია, რომ ტრადიციული მანერის დაცვა აუცილებელია. არგენტინამ ურუგვაის 4:2 მოუგო. დღეს კი არგენტინელები ჩილეს სტუმრობენ.

ჩილელთა მწვრთნელს, ხუვენალ ოლმოსს პეკერმანივით კომპლიმენტებით ტკბობის საშუალება არ აქვს, რაკი უამრავი პრობლემა ერთდროულად დასტყდომია თავს. აქეთ ტრავმირებულები, იქით დისკვალიფიცირებულები. ერთი ფეხბურთელი კი, გამთამაშებელი დავიდ პიზარო მწვრთნელმა საერთოდ თავად გააგდო ნაკრებიდან დისციპლინის დარღვევისთვის.

ამის საპირისპიროდ აღვნიშნოთ, რომ არგენტინას კარლოს ტევესი, ხავიერ მასკერანო და ანდრეს დალესანდრო დაუბრუნდნენ, რომლებმაც ურუგვაისთან ვერ ითამაშეს. თუმცა, მეორე მხრივ, ურუგვაისთან არგენტინელებმა ისე კარგად ითამაშეს, რომ შესაძლოა, ამ ტრიოსთვის სასტარტო შემადგენლობაში ადგილი აღარც მოიძებნოს, რაც სავსებით ლოგიკურად მოჩანს.

ურუგვაისთან ტევესის დისკვალიფიკაციის და ერნან კრესპოს ტრავმის გამო ლუჩანო ფიგეროამ ითამაშა და ორი გოლი გაიტანა, დალესანდრო კი ხუან რომან რიკელმემ შეცვალა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. ჰოდა, რომელი მათგანი გინდა ამოაგდო შემადგენლობიდან?

მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ტევესი და მასკერანო მაინც იყვნენ სასტარტო შემადგენლობაში, ოღონდ სხვათა მაგივრად.

ახლა ჩილელთა დანაკარგი ჩამოვთვალოთ. ნახევარმცველი მარკ გონსალესი, მცველი მოზეს ვილიაროელი და ფორვარდი მაურისიო პინილია ტრავმებს მკურნალობენ. საყრდენი ნახევარმცველი კლაუდიო მალდონადო და მარცხენა მცველი როდრიგო პერესი, რომლებიც კოლუმბიასთან შეხვედრისას ერთად გააძევეს, მეორე სადისკვალიფიკაციო მატჩს ტოვებენ.

ზემოხსენებული დავიდ პიზაროს ნაკრებიდან მოკვეთის მიზეზი ასეთია: ფეხბურთელმა ერთ-ერთი მატჩის დროს შეცვლა იწყინა და მოედნიდან გასვლისას მწვრთნელს წყევლა-კრულვა შეუთვალა, მერე კი გვირაბშიც რაღაცეები მიანგრ-მოანგრია.

როგორც ვხედავთ, მატჩისწინა ამბები ჩილელთა სასარგებლოდ არაფერს ამბობენ, ისევე როგორც სტატისტიკა: ჩილემ ბოლო ოთხი საშინაო მატჩიდან მხოლოდ ერთხელ გაახარა გულშემატკივრები, არგენტინისთვის კი ბოლო შვიდ მატჩში ვერაფერი გაუწყვია.

ამგვარივეა მატჩისწინა განწყობებიც მეტოქეთა ბანაკებში.

ხუან რომან რიკელმე, არგენტინელთა ნახევარმცველი: „თუ ისევე ვითამაშეთ, როგორც ურუგვაისთან პირველ ტაიმში, უეჭველად მოვიგებთ და რაც მთავარია, ჩვენ ასე თამაში შეგვიძლია."

ხუვენალ ოლმოსი, ჩილელთა მწვრთნელი: „გუნდის ერთ მუშტად შეკვრა იოლი არ არის. ვიბრძოლებთ რომ არ წავაგოთ."

და, ხომ იგრძენით განსხვავება, უეჭველ მოგებასა და არწაგებას შორის რომ არის?

**კოტე ძეძელია**



არგენტინის ნაკრებს დისკვალიფიკაციამოხდილი კარლოს ტევესი უბრუნდება

# ჩვენ არ ვაპირებთ ვიყიდოთ გლეიზერის მანჩესტერი!



ამერიკელ მალკოლმ გლეიზერს „მანჩესტერის“ ფანები უნდობლობას უცხადებენ

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ განრისხებული ფანები არასოდეს იყიდიან მაისურებს, თუ „ოლდ ტრეფორდის“ გუნდს ამერიკელი მილიარდერი მალკოლმ გლეიზერი შეიძენს. არადა, აქამდე რამდენიმე ნაბიჯიღა რჩება.

ფან-კლუბები და მცირე მეწილეთა ერთობები ამგვარად გამოხატავენ პროტესტს, ბოიკოტი კი ძალიან აშფოთებს „მანჩესტერის“ მთავარ სპონსორებს, „ნაიკსა“ და „ვოდაფონს“.

ინგლისში მცხოვრები კლუბის ფანების მოწოდება თუ მსოფლიოს გადაედება, ზარალი აურაცხელი იქნება — „მანჩესტერს“ 75 მილიონი ადამიანი ქომაგობს დედამიწაზე.

მცირე მეწილეთა წარმომადგენელმა, ოლივერ ჰიუსტონმა თქვა: „ჩვენ, საყვარელი კლუბის დაზიანება არ გვინდა, მაგრამ ჩვენ გლეიზერი არ მოგვწონს“.

ჰიუსტონის ჯგუფში 52 ათასი მცირე მეწილე შედის, რომლებიც კლუბის აქციების 18 პროცენტს ფლობენ. მათ სურთ, რომ აქციები სულ მეტმა და მეტმა ხალხმა შეიძინოს, რათა „მანჩესტერი“ სახალხო გუნდი გახდეს.

100 ათას კაცს სურს კლუბის აქციების ყიდვა, ხოლო თუკი გლეიზერი 29 პროცენტს იყიდის ჯონ მანიესა და ჯეი-პი მაკმანუსისგან, მას ყველა სხვა აქციის ყიდვის უფლებაც ექნება. ანუ „მანჩესტერი“ მხოლოდ ერთი კაცისა იქნება.

ბოლო ორ წელიწადში „იუნაიტედმა“ 45 მილიონი გირვანქის საკლუბო ატრიბუტიკა გაყიდა და ბოიკოტი მართლაც რომ მძიმე დარტყმა იქნება.

„ნაიკი“ ყოველწლიურად 30 მილიონ გირვანქას უხდის კლუბს და 13 წლიანი კონტრაქტი აქვს მასთან. „ვოდაფონი“ კი 4 წლითაა შეკრული და წელიწადში 10 მილიონს აძლევს.

თუ ბოიკოტი დაიწყო...

**ირაკლი გამყრელიძე**

# დავიდ ტრეზეგეს მხარს დაუჭერენ



ფეხბურთისგან დასვენებული დავიდ ტრეზეგე ახლა შვილებთან დაისვენებს

**„იუვენტუსს“**, როგორც ჩანს ოთხი თვის განმავლობაში დავიდ ტრეზეგეს გარეშე მოუწევს გოლების გატანა — ფრანგი ფორვარდი ლიონელ ექიმ ჟილ უოლშს შეხვდა და ოპერაციაზე შეუთანხმდა. ოპერაციაზე დასტური თქვა ტურინულმა კლუბმაც.

მაშ ასე, ტრეზეგე 19 ოქტომბერს ლიონის „სენტ ან ლუმიერის“ საავადმყოფოში მხრის ოპერაციას გაიკეთებს. უოლში კი ის ქირურგია, რომელმაც ზუსტად ტრეზეგეს მაგვარი პრობლემა მოუგვარა იტალიელ მოცურავე დომენიკო ფიორავანტის. ასე, რომ „იუვენტუსს“ და მის საფრანგეთის ნაკრებს გარკვეული გარანტია აქვთ.

ახლა კი ფორვარდის პრობლემა გავიხსენოთ: ტრეზეგე დაახლოებით ერთი წელიწადია მხარს ჰყავს დატანჯული, ამ ბოლო დროს კი მტკივნეულმა ადგილმა თავი შეახსენა — „იუვენტუსისა“ და „პალერმოს“ შეხვედრაში (1:1), რომელიც 3 ოქტომბერს გაიმართა, თავდამსხმელი მინდორზე ცუდად დაეცა, ამის შემდეგ „იუვენტუსმა“ და ტრეზეგემ ყველა ღონე იხმარეს, რათა პრობლემა ქირურგიული ჩარევის გარეშე, თერაპიული მეთოდით მოეგვარებინათ, მაგრამ მოწადინება ამაო გამოდგა. ასე, ოპერაციის გზით კი შესაძლოა ფრანგი თებერვალში დაუბრუნდეს მოედანს და თუ „ბებერი ქალბატონი“ შეჯიბრებას მანამდე არ გამოეთიშება, ჩემპიონთა ლიგაშიც თქვას თავისი სიტყვა.

ერთი სიტყვით, იმის მიხედვით, წარმატებით ჩაივლის თუ არა ოპერაცია, ტრეზეგე 12 ან 16 კვირას ვერ ითამაშებს.

და რას ნიშნავს ტრეზეგეს ოპერაცია „იუვენტუსისთვის“? იმას, რომ იანვრამდე მხოლოდ სამი ფორვარდით — ალესანდრო დელ პიერო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და მარსელო ზალაიეტა — მოუწევს ფონს გავლა, ამ ტრიოდან კი მოგეხსენებათ, ხან ერთი შავდება და ხანაც მეორე. მაგალითად, დღეს დაშავებულნი არიან დელ პიერო და იბრაჰიმოვიჩი, თუმცა ამ უკანასკნელზე ამბობენ, შაბათს „მესინასთან“ მაინც შეძლებს თამაშს, ხოლო დელ პიერო იქითა ოთხშაბათს, მიუნხენის „ბაიერნთან“ გავა მოედანზე.

**პაპუნა ძიძია**

## ფეხბურთის რუკასთან

**ეგვიპტის** ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან იტალიელი მარკო ტარდელი დაითხოვეს. 50 წლის სპეციალისტს ეგვიპტე მაისის თვეში ჩააბარეს და ნაკრების 2006 წლის მუნდიალზე გაყვანა სთხოვეს, თუმც ტარდელის მოღვაწეობა არცთუ ისე წარმატებული გამოდგა. მისი დათხოვნა კი ლიბიასთან სენსაციური მარცხის შემდეგ გადაწყდა.

**ესპანურ** „ბარსელონას“ ნახევარდაცვაში პრობლემები აქვს და კიდევ ერთი ტრანსფერის განხორციელებას აპირებს. ერთ-ერთი კანდიდატი „ლივერპულის“ გერმანელი ლეგიონერი დიტმარ ჰამანია. მხარეებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება, მაგრამ ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან. კატალონიელებს 31 წლის ფეხბურთელის ნახევარი წლით თხოვება უნდათ, ხოლო მერსისაიდელებს გერმანელის გაყიდვა.

**იტალიური** „რომას“ ლიდერსა და კაპიტან ფრანჩესკო ტოტის კლუბთან კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაუხანგრძლივებია. აქედან გამომდინარე, მის გადაბირებაზე კვლავაც რამდენიმე გრანდი აცხადებს პრეტენზიას. გამონაკლისი არც მილანის „ინტერი“ ყოფილა, რომლის მფლობელმა მასიმო მორატიმ ერთ-ერთ ტელეშოუში საინტერესო განცხადება გააკეთა: „ტოტი მილანში? არ ვიცი, მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ, მაგრამ მე ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ფრანჩესკო „ინტერს“ შეუერთდება“.

**გერმანელი** სპეციალისტი ბერტი ფოგტსი ფიფამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. გასულ უქმეებზე ფოგტსის გაწვრთნილმა შოტლანდიამ საშინაო მატჩი დათმო ნორვეგიასთან (0:1), ხოლო თავად სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს. ფოგტსმა ძალიან ემოციურად გამოხატა უკმაყოფილება, როდესაც მსაჯმა შოტლანდიას გოლი გაუუქმა. ფიფას პრესსატაშის, ანდრეას ჰარენის თქმით, შეიძლება გერმანელი სპეციალისტი უფრო მკაცრადაც დაისაჯოს. აქვე გეტყვით, რომ შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ჯონ მაკბეტი, მიუხედავად ეროვნული გუნდის ცუდი თამაშისა, ბერტი ფოგტსის პოსტიდან დათხოვნას არ აპირებს.

**ინგლისური** „საუთჰემპტონის“ გულშემატკივრები კლუბის ცუდი თამაშის გამო მთავარი მწვრთნელის, სტივ უიგლის დათხოვნას ელოდნენ, თუმც „წმინდანთა“ უფროსობამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და უიგლის ახალი თანაშემწე, კრისტიან დამიანო აუყვანა. მან სახელი 1996 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მოგებით გაითქვა. შემდეგ 54 წლის ფრანგი ჯერ „ფულემში“ ჟან ტიგანას, ხოლო მერე „ლივერპულში“ ჟერარ ულიეს ეხმარებოდა.

**ესპანური** „ვალენსიას“ თავკაცი კლაუდიო რანიერი ლონდონური „ჩელსის“ ნახევარმცველ სკოტ პარკერს გუნდის გამოცვლას ურჩევს. „უპირველეს ყოვლისა, სკოტს დაბადების დღეს ვულოცავ. იგი ძალიან ნიჭიერია და ბოლომდე უნდა გამოავლინოს შესაძლებლობები, ამისთვის კი მუდმივი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. ამიტომ აჯობებს, მან კლუბი გამოიცვალოს“ — განაცხადა რანიერიმ. შეგახსენებთ, „ჩარლტონის“ ყოფილი ვარსკვლავი „არისტოკრატთა“ რიგებში სწორედ იტალიელი სპეციალისტის ინიციატივით მოხვდა, მაგრამ „ჩელსის“ მწვრთნელად პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუს მისვლის შემდეგ, იგი ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება.

**ხორვატიის** ნაკრების თავკაცი ზლატკო კრანჩარი გასულ უქმეებზე ბულგარეთთან მატჩის მსვლელობისას გაქურდეს. ბინაში კრანჩარი ცოლთან და 20 წლის შვილთან, ნიკოსთან ერთად ცხოვრობს, რომელიც ეროვნული გუნდის ფეხბურთელია და, ბუნებრივია, ქურდობის დროს მამასთან ერთად მინდორზე იყო, ხოლო მწვრთნელის მეუღლე ქმარ-შვილის საქმიანობას ტრიბუნიდან აკვირდებოდა. „მოპარულია საკმაოდ ძვირფასი ნივთები, მათ შორის ორი ოქროს საათი და სამკაულები. საბედნიეროდ, შინ ბევრი ფულს არ ვინახავდი“ — ირონიულად აღნიშნა ხორვატმა სპეციალისტმა.

**ინგლისის** ეროვნული გუნდის კაპიტანი და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი დევიდ ბექემი ვარჯიშს დღეიდან განაახლებს. მოგეხსენებათ, ბექემი შაბათს, უელსელებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს დაშავდა — ნეკნი გაუტეხეს. „რეალის“ ექიმებმა „ბექსისს“ საფუძვლიანი მკურნალობა ჩაუტარეს და მათდა გასახარად, ნახევარმცველს ოპერაცია არ დასჭირვებია.

**ფრანგები** — ლორან რობერი და ოლივიე ბერნარი, ინგლისელები — კირონ დაიერი და ტიტუს ბრამბლი, აგრეთვე ლისაბონის „სპორტინგში“ განათხოვრებული უგო ვიანა სეზონის ბოლოს ინგლისურ „ნიუკასლს“ დატოვებენ. ამ ხუთეულის გუნდიდან გაშვება თავად მწვრთნელმა, გრემ სუნესმა გადაწყვიტა. მისი აზრით, ზემოხსენებული ფეხბურთელები საკმაო ანაზღაურებას იღებენ, რომლის სანაცვლოდაც რიგიანად ვერ ბურთაობენ. სუნესი ამბობს, მიჯობს გამოთავისუფლებული სახელფასო ფონდიდან, ახალი მოთამაშეები შევიძინოთ და თანხაც მათზე გადავანაწილოთო.

**იტალიური** „მილანის“ ფეხბურთელი კრისტიან ბროკი იანვარში რომის „ლაციოში“ გადავა, მაშინ, როდესაც ზამთრის სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. „რომაულ კლუბში სათამაშოდ მზად ვარ, მე პრაქტიკა მჭირდება, რაც „მილანში“ საერთოდ არ მაქვს. ზაფხულში მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ მითხრა, დარჩი, დამჭირდებიო, მაგრამ მოვტყუვდი“ — ამბობს ბროკი.

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია.. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.30 | 037 | მაინცი-ვერდერი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 17.30 | 038 | ბაიერნი-შალკე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 17.30 | 039 | ბოხუმი-ჰანზა | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 17.30 | 040 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 17.30 | 041 | ჰამბურგი-არმინია | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 17.30 | 042 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 17.30 | 043 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.30 | 044 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.30 | 045 | მიონხენგლადბახი-ლაუტერნი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 20.00 | 046 | ლივორნო-რომა | 4,4 | 3,1 | 1,8 | 1,81 | 1,27 | 1,13 |
| 22.30 | 047 | იუვენტუსი-მესინა | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 048 | ბოლონია-ატალანტა | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 17.00 | 049 | ბრეშა-პარმა | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 17.00 | 050 | კალიარი-მილანი | 4,8 | 3,1 | 1,75 | 1,88 | 1,28 | 1,11 |
| 17.00 | 051 | ფიორენტინა-სიენა | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 17.00 | 052 | ინტერი-უდინეზე | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| 17.00 | 053 | ლაციო-კიევო | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 17.00 | 054 | ლეჩე-პალერმო | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 22.30 | 055 | რეჯინა-სამპდორია | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 17.00 | 002 | ყაზახეთი-ალბანეთი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 17.00 | 003 | ანდორა-მაკედონია | 11,0 | 5,6 | 1,15 | 3,71 | 1,04 | 1 |
| 19.00 | 004 | ლატვია-ესტონეთი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 19.00 | 005 | ბულგარეთი-მალტა | 1,02 | 8,0 | 30,0 | 1 | 1 | 6,31 |
| 19.20 | 006 | სომხეთი-ჩეხეთი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 20.15 | 007 | უკრაინა-საქართველო | 1,4 | 3,8 | 6,0 | 1,02 | 1,13 | 2,32 |
| 20.30 | 008 | აზერბაიჯანი-ინგლისი | 12,5 | 5,6 | 1,12 | 3,86 | 1,02 | 1 |
| 21.00 | 009 | ნორვეგია-სლოვენია | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 22.00 | 010 | ლუქსემბურგი-ლიხტენშტაინი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 22.00 | 011 | მოლდოვა-შოტლანდია | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 22.00 | 012 | დანია-თურქეთი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 22.00 | 013 | სერბეთი-სან მარინო | 1,01 | 8,0 | 40,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 22.10 | 014 | ისლანდია-შვედეთი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 22.15 | 015 | ლიტვა-ესპანეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 22.30 | 016 | ირლანდია-ფარერები | 1,04 | 7,5 | 25,0 | 1 | 1 | 5,76 |
| 22.30 | 017 | ჰოლანდია-ფინეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.45 | 018 | კვიპროსი-საფრანგეთი | 12,0 | 5,6 | 1,17 | 3,81 | 1,06 | 1 |
| 23.00 | 019 | უელსი-პოლონეთი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.00 | 020 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.00 | 021 | იტალია-ბელარუსი | 1,15 | 5,6 | 14,0 | 1 | 1,06 | 4 |
| 00.15 | 022 | პორტუგალია-რუსეთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 01.05 | 023 | პარაგვაი-პერუ | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 03.00 | 024 | ჩილე-არგენტინა | 4,4 | 3,2 | 1,75 | 1,85 | 1,25 | 1,13 |
| 03.45 | 025 | ბრაზილია-კოლუმბია | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 03.00 | 026 | ვენესუელა-ეკვადორი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 300 | 18:00 | სელტიკი-ჰართსი | 1.2 | 5.5 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.6 |
| 301 | 18:00 | დანდი-კილმარნოკი | 2.3 | 3.2 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.5 |
| 302 | 18:00 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.9 | 3.5 | 3.4 | 1.23 | 1.21 | 1.72 |
| 303 | 18:00 | ინვერნესი-აბერდინი | 2.85 | 3.2 | 2.3 | 1.5 | 1.27 | 1.33 |
| 304 | 18:00 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 305 | 17:00 | მოსერუელი-რეინჯერსი | 5.1 | 3.5 | 1.6 | 2.07 | 1.21 | 1.09 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 306 | 18:00 | ერდრი-პარტიკი | 2.6 | 3.5 | 2.2 | 1.49 | 1.19 | 1.35 |
| 307 | 18:00 | კლაიდი-რეითი | 1.35 | 4.5 | 6.5 | 1.03 | 1.11 | 2.65 |
| 308 | 18:00 | ჰამილტონი-ფოლკირკი | 3.1 | 3.5 | 1.9 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| 309 | 18:00 | ქუინი-სტ.ჯონსტონი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 310 | 18:00 | სტ.მირენი-როსი | 2.0 | 3.5 | 3.0 | 1.27 | 1.2 | 1.61 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 311 | 18:00 | ბერვიკი-ეარი | 2.7 | 3.5 | 2.1 | 1.52 | 1.18 | 1.31 |
| 312 | 18:00 | დამბარტონი-არბროთი | 1.65 | 3.6 | 4.2 | 1.13 | 1.18 | 1.93 |
| 313 | 18:00 | ფორფარი-ალოა | 1.85 | 3.5 | 3.3 | 1.21 | 1.18 | 1.69 |
| 314 | 18:00 | სტირლინგი-ბრეჩინი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 315 | 18:00 | სტრანრარი-მორტონი | 2.2 | 3.5 | 2.6 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 316 | 18:00 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 2.2 | 3.5 | 2.6 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| 317 | 18:00 | გრეტნა-ისტ სტირლინგი | 1.1 | 6.5 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.53 |
| 318 | 18:00 | პიტერჰედი-მონტროუზი | 1.35 | 4.3 | 6.5 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 319 | 18:00 | ქუინს პარკი-ელგინი | 2.2 | 3.5 | 2.6 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| 320 | 18:00 | სტენჰაუსმუირი-კოუდენბითი | 2.0 | 3.6 | 2.9 | 1.28 | 1.18 | 1.6 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 321 | 20:00 | შტურმი-პაშინგი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 322 | 20:00 | ტიროლი-რაპიდი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 323 | 20:00 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.2 | 5.2 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.47 |
| 324 | 20:00 | ბრეგენცი-ადმირა | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 325 | 17:30 | ზალცბურგი-გრაცერი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | ავსტრია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 326 | 21:00 | ალტახი-კაფენბერგი | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 327 | 21:00 | გრატკორნი-კერნტენი | 2.9 | 3.1 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| 328 | 21:00 | ლეობენი-აუსტრია(ლ) | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 329 | 21:00 | რიდი-ვიორგლი | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 330 | 21:00 | უნტერსიბენბრიუნი-ლიცერი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 331 | 21:30 | აარაუ-ქსამაქსი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.7 |
| 332 | 21:30 | ბაზელი-სერვეტი | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 333 | 21:30 | თუნი-ციურიხი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 334 | 18:00 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 335 | 18:15 | გრასჰოპერი-იანგ ბოისი | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 336 | 21:30 | კრინსი-ბოლმი | 1.75 | 3.5 | 3.8 | 1.16 | 1.19 | 1.82 |
| 337 | 21:30 | ვინტერთური-ვოლენი | 2.0 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.6 |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 338 | 19:30 | შო დე ფონი-ბელინცონა | 2.9 | 3.1 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| 339 | 19:30 | მეირინი-ვილი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 340 | 19:30 | ლუგანო-სიონი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 341 | 21:30 | ივერდონი-კონკორდია | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 342 | 16:30 | კიასო-ლუცერნი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 343 | 16:30 | იუვენტუსი-ბადენი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 344 | 18:00 | ვადუცი-ბულე | 1.4 | 3.7 | 6.3 | 1.01 | 1.14 | 2.33 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 70 | 20:00 | ბილბაო-მალაგა | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 71 | 20:00 | ატლეტიკო-რასინგი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 72 | 20:00 | ესპანიოლი-ბარსელონა | 4.0 | 3.3 | 1.85 | 1.8 | 1.26 | 1.18 |
| 73 | 20:00 | დეპორტივო-სეტაფე | 1.4 | 3.8 | 7.7 | 1.02 | 1.18 | 2.54 |
| 74 | 20:00 | მალიორკა-ვილიარეალი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 75 | 20:00 | ნუმანსია-ლევანტე | 2.2 | 3.1 | 3.2 | 1.28 | 1.3 | 1.57 |
| 76 | 20:00 | ოსასუნა-ალბასეტე | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 77 | 20:00 | ვალენსია-სევილია | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 78 | 20:00 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 79 | 20:00 | ბეტისი-რეალი | 3.2 | 3.2 | 2.15 | 1.6 | 1.28 | 1.28 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 80 | 20:00 | კორდობა-ტარაგონა | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 81 | 20:00 | ელჩე-ალმერია | 2.0 | 2.8 | 3.7 | 1.16 | 1.29 | 1.59 |
| 82 | 20:00 | სალამანკა-უელვა | 2.5 | 2.7 | 2.8 | 1.29 | 1.32 | 1.37 |
| 83 | 20:00 | ვალიადოლიდი-ლეიდა | 1.95 | 2.9 | 3.7 | 1.16 | 1.27 | 1.62 |
| 84 | 20:00 | ფეროლი-ალავესი | 2.5 | 2.7 | 2.8 | 1.29 | 1.32 | 1.37 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| № | დრო | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 85 | 20:00 | ესიდო-სპორტინგი | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 86 | 20:00 | კადისი-სელტა | 2.7 | 2.7 | 2.6 | 1.35 | 1.32 | 1.32 |
| 87 | 20:00 | სიუდადი-სერესი | 2.7 | 2.7 | 2.3 | 1.35 | 1.32 | 1.32 |
| 88 | 20:00 | მალაგა ბ-მურსია | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 89 | 20:00 | პონტევედრა-ტერასა | 2.4 | 2.6 | 3.2 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 90 | 20:00 | ტენერიფე-ეიბარი | 2.1 | 2.8 | 3.5 | 1.2 | 1.31 | 1.55 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 345 | 22:00 | ლიონი-კაენი | 1.4 | 3.9 | 8.0 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 346 | 19:15 | ოსერი-ლანსი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 347 | 22:00 | ბორდო-ისტრი | 1.45 | 3.7 | 7.2 | 1.04 | 1.2 | 2.44 |
| 348 | 22:00 | ლილი-ბასტია | 1.7 | 3.2 | 5.1 | 1.11 | 1.27 | 1.96 |
| 349 | 22:00 | აიაჩო-სტრასბური | 2.1 | 3.0 | 3.5 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 350 | 22:00 | მეცი-მონაკო | 2.95 | 3.1 | 2.3 | 1.51 | 1.29 | 1.32 |
| 351 | 22:00 | ნანტი-პსჟ | 2.4 | 2.9 | 3.0 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 352 | 22:00 | ნიცა-ტულუზი | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 353 | 22:00 | სოშო-რენი | 1.9 | 3.1 | 4.0 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 354 | 23:00 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.5 | 3.7 | 6.0 | 1.06 | 1.2 | 2.28 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 365 | 22:30 | ბრიუსელი-ანდერლეხტი | 5.7 | 3.8 | 1.5 | 2.27 | 1.18 | 1.07 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 366 | 22:00 | მუსკრონი-ოსტენდე | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 367 | 22:00 | სტანდარდი-ვესტერლო | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 368 | 22:00 | ლიერსი-გენტი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 369 | 22:00 | გენკი-მონსი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 370 | 17:00 | სერკლი-სტ.ტრუიდენი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 371 | 17:00 | ლუვეე-ბეერსხოტი | 1.7 | 3.5 | 4.2 | 1.14 | 1.21 | 1.9 |
| 372 | 18:00 | შარლერუა-ბევერენი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 373 | 22:00 | ლოკერენი-ბრიუგე | 4.0 | 3.5 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 383 | 22:00 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 3.5 | 3.3 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 384 | 21:30 | დენ ბოსხი-როსენდაალი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 385 | 21:00 | დენ ჰააგი-პსვ | 6.5 | 4.0 | 1.45 | 2.47 | 1.18 | 1.06 |
| 386 | 22:15 | აიაქსი-ჰერენვეენი | 1.3 | 4.7 | 8.4 | 1.01 | 1.12 | 3.01 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 387 | 14:30 | როდა-ფეიენოორდი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 388 | 16:30 | ვიტესი-ბრედა | 1.85 | 3.3 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 389 | 16:30 | გრონინგენი-უტრეხტი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 390 | 16:30 | ვალვაიკი-ნაიმეგენი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 402 | 23:45 | ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2.6 | 3.1 | 2.5 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 403 | 22:15 | ნასიონალი-გიმარაეში | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 404 | 18:00 | ესტორილი-სპორტინგი | 3.5 | 3.1 | 2.0 | 1.64 | 1.27 | 1.21 |
| 405 | 19:00 | რიუ ავე-ბეირა მარი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 406 | 19:00 | სეტუბალი-აკადემიკა | 1.75 | 3.2 | 4.4 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 407 | 19:00 | ლეირია-ბოავისტა | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 408 | 19:00 | მარიტიმუ-მორეირენსე | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 409 | 19:00 | ბელენენსეში-პენაფიელი | 1.7 | 3.3 | 4.7 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 410 | 22:45 | ბენფიკა-პორტუ | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 451 | 16:25 | სპარტა-სლავია | 1.65 | 3.6 | 4.6 | 1.13 | 1.21 | 2.01 |
| 452 | 22:00 | სლოვაცკო-ბუდეიოვიცე | 1.5 | 3.7 | 6.0 | 1.06 | 1.2 | 2.28 |
| 453 | 22:00 | ბრნო-ზლინი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 454 | 19:00 | იაბლონეცი-პრჟიბრამი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 455 | 19:00 | ბოლესლავი-სიგმა | 3.1 | 2.9 | 2.2 | 1.49 | 1.28 | 1.25 |
| 456 | 19:00 | დრნოვიცე-ოპავა | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 457 | 19:00 | ტეპლიცე-ბლშანი | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 458 | 18:40 | ბანიკი-ლიბერეცი | 1.9 | 3.1 | 3.8 | 1.17 | 1.26 | 1.7 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 497 | 19:00 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1.75 | 3.3 | 4.4 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 498 | 17:00 | ნორდსიელანდი-ესბიერგი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 499 | 17:00 | ჰერფიოლგე-რანდერსი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 500 | 17:00 | ორჰუსი-ოლბორგი | 2.15 | 3.2 | 3.1 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 501 | 17:00 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2.65 | 3.2 | 2.4 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 502 | 19:30 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 4.4 | 3.3 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.14 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 511 | 18:00 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1.3 | 5.0 | 7.5 | 1.03 | 1.1 | 3.0 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 512 | 20:00 | ლილესტრიომი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 513 | 20:00 | ვიკინგი-ლინი | 2.05 | 3.1 | 3.4 | 1.23 | 1.27 | 1.62 |
| 514 | 20:00 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 515 | 20:00 | ვოლერენგა-სოგნდალი | 1.3 | 5.0 | 7.5 | 1.03 | 1.1 | 3.0 |
| 516 | 20:00 | მოლდე-ჰამარი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 517 | 21:00 | ოდ გრენლანდი-ტრომსიო | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 518 | 17:00 | ბრინი-სკეიდი | 1.8 | 3.8 | 3.4 | 1.22 | 1.17 | 1.79 |
| 519 | 17:00 | ჰიონეფოსი-ალესუნდი | 2.5 | 3.9 | 2.1 | 1.52 | 1.14 | 1.36 |
| 520 | 17:00 | კონგსვინგერი-მოსი | 1.6 | 4.0 | 4.2 | 1.14 | 1.15 | 2.04 |
| 521 | 17:00 | რაუფოსი-მანდალი | 1.8 | 3.9 | 3.2 | 1.23 | 1.15 | 1.75 |
| 522 | 17:00 | სანდეფიორდი-სტრიომსგოდსეტი | 1.35 | 4.4 | 6.2 | 1.03 | 1.1 | 2.57 |
| 523 | 17:00 | სტარტი-ჰაუგესუნდი | 1.35 | 4.4 | 6.2 | 1.03 | 1.1 | 2.57 |
| 524 | 17:00 | ტრომსდალენი-ჰიოდი | 3.4 | 4.2 | 1.7 | 1.87 | 1.13 | 1.21 |
| 525 | 17:00 | ვარდ ჰაუგესუნდი-პორს გრენ | 2.7 | 4.1 | 2.0 | 1.62 | 1.14 | 1.34 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 545 | 22:45 | დერი-დროგედა | 2.7 | 3.1 | 2.3 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 546 | 22:30 | უოტერფორდი-კორკი | 2.3 | 3.1 | 2.7 | 1.32 | 1.24 | 1.42 |
| 547 | 22:45 | შელბურნი-ბოჰემიანი | 1.9 | 3.1 | 3.6 | 1.17 | 1.24 | 1.66 |
| 548 | 22:45 | სტ.პატრიკსი-დუბლინი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 549 | 22:30 | ლონგფორდი-შემროკი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **ეჩ.შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 626 | 14:00 | სომხეთი(21)-ჩეხეთი(21 | 10.0 | 5.0 | 1.2 | 3.33 | 1.07 | 1.0 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 631 | 21:00 | ნორჩიოპინგი-იურგორდენი | 4.4 | 3.3 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.14 |
| | | **ჰოკეი.ფინეთი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 818 | 19:00 | ტაპარა-იუვესკიულე | 1.7 | 4.2 | 3.2 | 1.21 | 1.11 | 1.81 |
| 819 | 19:30 | ლუკო-კერპეტი | 2.3 | 4.2 | 2.1 | 1.48 | 1.09 | 1.39 |
| | | **ჰოკეი, რუსეთი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 890 | 14:00 | სპარტაკი-ს.იულაევი | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| 891 | 14:00 | აკ ბარსი-ხიმიკი | 1.3 | 5.6 | 5.6 | 1.05 | 1.05 | 2.79 |
| 892 | 14:00 | ლოკომოტივი-ლადა | 1.9 | 4.6 | 2.26 | 1.34 | 1.03 | 1.51 |
| 893 | 14:00 | ცსკა-სევერსტალი | 2.4 | 4.6 | 2.0 | 1.57 | 1.09 | 1.39 |
| 894 | 14:00 | ნოვოკუზნეცკი-მაგნიტოგორსკი | 2.4 | 4.6 | 2.0 | 1.57 | 1.09 | 1.39 |
| 895 | 14:00 | მოლოტი-ასკ | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 896 | 14:00 | ნეფტეხიმიკი-ავანგარდი | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| 897 | 14:00 | სიბირი-დინამო | 4.0 | 6.0 | 1.4 | 2.4 | 1.03 | 1.13 |
| | | **კალათბურთი.იტალია** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 950 | 22:30 | სიენა-ავრორა | 1.05 | 12.0 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 4.8 |
| 951 | 22:30 | სკავოლინი-კანტუ | 1.3 | 12.0 | 2.8 | 1.17 | 1.0 | 2.27 |
| 952 | 22:30 | ბოლონია-მილანი | 1.5 | 12.0 | 2.4 | 1.33 | 1.0 | 2.0 |
| 953 | 22:30 | ვარეზე-ნაპოლი | 1.85 | 12.0 | 11.85 | 1.6 | 1.0 | 1.6 |
| 954 | 22:30 | ლივორნო-როსეტო | 1.4 | 12.0 | 2.5 | 1.25 | 1.0 | 2.06 |
| 955 | 22:30 | აველინო-უდინე | 2.15 | 12.0 | 1.6 | 1.82 | 1.0 | 1.41 |
| 956 | 22:30 | კალაბრია-ბენეტონი | 4.3 | 12.0 | 1.15 | 3.16 | 1.0 | 1.04 |
| 957 | 22:30 | ბიელა-ბიპოპი | 1.5 | 12.0 | 2.4 | 1.33 | 1.0 | 2.0 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 958 | 22:30 | ტერამო-რომა | 2.4 | 12.0 | 1.5 | 2.0 | 1.0 | 1.33 |

CROCO BOOKMAKERS კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10 42 00 24 +%

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5009 | ნორვეგია-სლოვენია | 2,3 | 1,95 | 5,0 | 1,05 | 1,57 | 1,4 |
| 5012 | დანია-თურქეთი | 2,35 | 1,95 | 4,8 | 1,06 | 1,57 | 1,38 |
| 5019 | უელსი-პოლონეთი | 2,7 | 1,95 | 3,8 | 1,13 | 1,57 | 1,28 |
| 5020 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 3,8 | 1,95 | 2,7 | 1,28 | 1,57 | 1,13 |
| 5022 | პორტუგალია-რუსეთი | 2,0 | 2,15 | 5,6 | 1,03 | 1,47 | 1,55 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | ნორვეგია-სლოვენია | 1,65 | 2,3 |
| 5412 | დანია-თურქეთი | 1,7 | 2,2 |
| 5419 | უელსი-პოლონეთი | 1,8 | 2,0 |
| 5420 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 2,0 | 1,8 |
| 5422 | პორტუგალია-რუსეთი | 1,5 | 2,6 |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | ნორვეგია-სლოვენია | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5112 | დანია-თურქეთი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5119 | უელსი-პოლონეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5120 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5122 | პორტუგალია-რუსეთი | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | ნორვეგია-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | დანია-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | უელსი-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | პორტუგალია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | ნორვეგია-სლოვენია | 1,75 | 1,85 |
| 5312 | დანია-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 5319 | უელსი-პოლონეთი | 1,7 | 1,9 |
| 5320 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 1,7 | 1,9 |
| 5322 | პორტუგალია-რუსეთი | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | ნორვეგია-სლოვენია | 1,7 | 1,9 |
| 5212 | დანია-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 5219 | უელსი-პოლონეთი | 1,7 | 1,9 |
| 5220 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 1,7 | 1,9 |
| 5222 | პორტუგალია-რუსეთი | 1,9 | 1,7 |

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ირანი გურჯებს იზიდავს

## ირაკლი ჯაფარიძეც სპარსეთის გზას გაუდგა

*გუშინწინ გადაწყდა, რომ ირანში მიმავალ კოტე ტულუშს „სტუ-ჯეოსელის" ცენტრი ირაკლი ჯაფარიძეც დაემგზავრება – „ჯაფარამ" უკვე მიიღო სპარსული ვიზა და ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, იგი უკვე თეირანშია. ჯაფარიძისთვის ლეგიონერობა არაა უცხო შთაბეჭდილება, მას 4-5 წლის წინ პორტუგალიურ „ქინაზიოში" უთამაშია, კარიერის გარიჟრაჟზე კი ბერძნული კალათბურთიც დაუჭაშნიკებია. ჯერ არაა გარკვეული, სად ითამაშებს ჯაფარიძე, თუმც სადმე რომ მოეწყობა, უეჭველია. სპარსელ აგენტ ამირს შემოუთვლია, თუ მთლად ჩაკუპატებული არა ხარ და სირბილი შეგიძლია, რომელიმე კლუბში აუცილებლად მოგაწყობო. „ჯაფარაც" ფორმაშია და სპარსეთში მეტი ხეირის პოვნის იმედით მიემგზავრება...*

— გუშინ გადაწყდა, რომ ირანში მივდივარ. ვიზა უკვე ავიღე და დღეს გვიან ღამით გავფრინდებით თეირანში მე და კოტე ტულუში.

— შენ და ტულუში თანაგუნდელები იქნებით?

— არა, კოტე თეირანულ კლუბში მიდის, სადაც ვაკო ბეჟანიშვილი ირიცხება. რომელ გუნდში ვითამაშებ, ჯერ არ ვიცი. რომ ჩავალ, ჩემი აგენტი და მე მერე შევარჩევთ.

— ეგრე ალალ ბედზე ამხელა გზაზე როგორ მიდიხარ?

— ირანელმა აგენტმა შემომითვალა, ჩამოდი და არ არსებობს, რომელიმე გუნდში არ მოგაწყოო. მან იცის ჩემი შესაძლებლობები და ასე მითხრა, თუ მთლად ცუდ ფორმაში არ ხარ, უგუნდოდ არ დარჩებიო... ვიცი, რომ ასე ბრმად უცხოეთში სათამაშოდ არავინ მიდის, მაგრამ რა გზა მაქვს, საცაა კარიერას დავასრულებ და მინდა, ერთი-ორი კაპიკით მეტი ვიშოვო. საქართველოში კი სულ უკან-უკან მიდის საქმე, გუნდები იშლებიან, სპონსორები გარბიან. აქ რომ ცოტა უკეთესი პირობები იყოს, ირანში ნაღდად არ წავიდოდი.

— ირანელებს როგორ მიაწვდინე ხმა, ვინ დაგაკავშირა იქაურ აგენტთან?

— არმენ ოგანესიანმა. „არმენა" ხშირად მირეკავდა, ჩამოდი, აქ ძალიან კარგი პირობებიაო. ერთხელაც აგენტს დამალაპარაკა და ასე გავიცანი ამირი.

— „სტუ-ჯეოსელის" ხელმძღვანელობა რა ჭკუაზეა, ამას წინათ გუნდი კახა შენგელიამ დატოვა და „ავიამშენში" გადავიდა, ახლა კი მეორე მეფარეც დაკარგა...

— მე ყველაფერი შეთანხმებული მქონდა „სტუ-ჯეოსელის" ხელმძღვანელობასთან, კონტრაქტიც თავიდან ისეთი შევადგინეთ, რომელიც უცხოურ კლუბში წასვლაში ხელს არ შემიშლიდა. ალბათ ძალიანაც არ გაუხარდათ სტუელებს, ირანში რომ მივდივარ, მაგრამ რა ქნან. ან მე რა ვქნა, ძალიან კი მინდა მათთან თამაში, მაგრამ ირანელები გაცილებით უკეთეს პირობებს მთავაზობენ. ცხადია, ოჯახში ყოფნა და აქ თამაში მირჩევნია, მაგრამ იძულებული ვარ, წავიდე.

**ირაკლი პერტაია**

# ერთხელ ამერიკაში...

## ნუგზარ ჭეიშვილმა წიგნები მოიმარჯვა

*70-იან წლებში, ამერიკაში ერთი მწვრთნელი ყოფილა, რომელსაც თავისი გუნდისთვის ისეთი სათამაშო ტაქტიკა მოურგია, რომელშიც ცენტრის ადგილი არ ყოფილა. ყველა მოთამაშე დაახლოებით 190 სანტიმეტრის გახლდათ და ნოვატორ მწვრთნელს ამ უცნაური გუნდით სამჯერ მოუგია ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატი.*

*„ახლა იმ მწვრთნელის გვარი არ მახსოვს, თუ გინდათ, წიგნს მოვიტან და გეტყვით" — გვითხრა „სტუ-ჯეოსელის" თავკაცმა ნუგზარ ჯეიშვილმა, რომელიც, თურმე ამასვე აპირებს — ასეთი წყობით უნდა ათამაშოს თავისი გუნდი... არადა, ცოტა ხნის წინ სტუ ყველაზე დალხენილად გრძნობდა თავს, უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა — ფარქვეშ პრობლემებიც რა მოსატანი იყო. მაგრამ ჯერ კახა შენგელია წავიდა „თბილავიამშენში" და გუშინ ტექნიკოსები ირაკლი ჯაფარიძემაც დატოვა, ჭეიშვილს კი გუნდში ორმეტრიანი აღარავინ დარჩა...*

— მიდიან, ვერ ვაკავებ, აზიაში თამაში ურჩევნიათ ჩვენთან ყოფნას — ჩივის ნუგზარ ჭეიშვილი — შენგელიას დაკარგვის შემდეგ ირაკლი ჯაფარიძეც წავიდა და უცენტროდ დავრჩით. ყველაზე მაღალი კალათბურთელი ირაკლი შანიძეა, რომელიც ორი მეტრიც არაა.

— შენგელიას და ჯაფარიძეს წასვლით სახელფასო ფონდში საკმაოდ თანხა გამოგითავისუფლდებოდათ საიმისოდ, რომ სათანადო შემცვლელები იპოვოთ.

— კი ბატონო, მაგრამ რომელი მაღალია დღეს უგუნდოდ? თითქმის ყველა საზღვარგარეთ წავიდა, დარჩენილები კი უკვე კარგა ხანია, სხვა ქართულ გუნდებში არიან დაბინავებულები. ვიპოვით ახალგაზრდა პერსპექტიულ ბიჭებს და როგორმე შევავსებთ განაცხადს — დღეს მხოლოდ შვიდი კალათბურთელია გუნდში.

— უცენტროთ თამაშს როგორღა აპირებთ?

— ვიზამთ რამეს, თითქმის 50 წელია, კალათბურთში ვარ და ბევრი რამ მინახავს. ბოლოს და ბოლოს უცენტროდ ვითამაშებთ. იყო ერთ დროს ასეთი თამაშის სტილი ამერიკაში. უფრო სწორად, ერთმა მწვრთნელმა შემოიტანა ისეთი ტაქტიკა, რომელშიც ყველა მოთამაშე დაახლოებით 190 სანტიმეტრი იყო. იმ მწვრთნელმა 1969-71 წლებში სამჯერ ასე მოიგო ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატი.

— და თქვენ სერიოზულად აპირებთ ასეთი ტაქტიკით თამაშს?

— რატომაც არა, აბა, რა ვქნათ, ორ მეტრზე მაღალი მოთამაშე თუ არ გვყავს გუნდში? მე უკვე მოვიმარაგე სათანადო ლიტერატურა და სერიზულადაც ვემზადები, რათა საჭიროების შემთხვევაში ასეთი „უცენტრო" ტაქტიკით ვათამაშო გუნდი.

— რატომ საჭიროების შემთხვევაში? იმედი გაქვთ, რომ მაღალ კალათბურთელს შეიმატებთ?

— მთლად უიმედოდ როგორ ვიქნები, გუნდის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რომ ვინმე მონახოს. არაა გამორიცხული, ლეგიონერიც ჩამოვიყვანოთ, ვაჟა კვარაცხელიას მოთამაშეების მხოლოდ საზღვარგარეთ გაშვება კი არა, ჩამოყვანაც შეუძლია.

— კონკრეტულად რომელ ქვეყანაზე მუშაობთ?

— თუ გახსოვთ, ჩვენ ადრეც გვსურდა უცხოეთიდან ცენტრის ჩამოყვანა, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრეთ. მაშინ ძირითადად უკრაინაში მოთამაშეებთან გვქონდა კონტაქტი და ასეა ახლაც.

— სადაა ახალგაზრდა ცენტრი რიჩარდ მათიაშვილი, რომელიც „სტუ ჯეოსელმა" ამ ზაფხულს შეიმატა?

— მათიაშვილი ესპანეთში წავიდა. მას მე პირადად გავყევი ტენერიფეს საკალათბურთო სკოლაში, სადაც იდეალურ პირობებში იქნება და გაცილებით სწრაფად განვითარდება.

— სად თბილისი და სად ტენერიფე?

— როგორც იცით, მათიაშვილმა ამ ზაფხულს საბერძნეთში კადეტთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ითამაშა და იქ უამრავმა საკალათბურთო აგენტმა ნახა. დაინტერესება დიდი იყო და რიჩარდი საბოლოოდ კანარის კუნძულებზე აღმოჩნდა.

— ესე იგი, ახალი, ამერიკული ტაქტიკით ითამაშებთ...

— ვნახოთ, არაფერია გამორიცხული. დუდუ დადიანის მემორიალზე კარგად გამოჩნდება ჩვენი გუნდის შესაძლებლობები და ტაქტიკასაც ამას შემდეგ ავარჩევ.



ყოფილმა სტუ-ელმა არმენ ოგანესიანმა ირანში ლამის ნახევარი საქართველო „გაიტყუა"

**ირაკლი პერტაია**

კოკა კოლას თასი. თიხნარი. საპრიზო ფონდი 15 000 $

# ყველაფერი ნერვების ბრალია

## რუსული ტაქტიკა: გადააგდე, მოიგებ



დავით კვერნაძე ნერვებმა დაალალატა

„კოკა კოლას თასის" პირველი წრის ნახევარი მიილია და ქართულმა სამეულმაც პირველი დანაკარგი განიცადა. გუშინ კორტზე ოდენ დავით კვერნაძე გავიდა და უშანგიშვილ-ლაბაძისგან ტრიბუნებიდან გამხნევების მიუხედავად, რუს ალექსეი ფილენკოვთან ვერა გააწყო.

კვერნაძის წარმატება პირველ რიგში მის ნერვებზე იყო დამოკიდებული. როგორც კი ჩვენებური უნებლიე შეცდომას დაუშვებდა, მყისვე კარგავდა უპირატესობას და მომდევნო გათამაშებებში გაცილებით უწყინარ სიტუაციებში ცდებოდა. მერე მშვენიერი შემოკლებული დარტყმით გულშემატკივარს ალაფრთოვანებდა და ჩვეულად ათამაშდებოდა, სანამ ისევ არ მოუვლიდა მღელვარება.

ამის გამო დათმო კვერნაძემ მეორე სეტი, არადა 4:3 ანგარიშზე თავისი მოწოდებაც რომ მოეგო, ფილენკოვს ალბათ საბოლოოდ გატეხავდა. პირველი სეტი ხომ ჯიბეში ჰქონდა (6:4). შეცდომას შეცდომა მოჰყვა, კალათბურთელის აღნაგობის რუსს კი ერთადერთი მიზანი ჰქონდა — ბურთი ბადის იქით გადაეგდო და საქულე დარტყმას იშვიათად თუ გამოურევდა. ამ ტაქტიკამ გაუმართლა კიდეც. მეორე სეტში ზედიზედ სამი გეიმიც მიითვალა და ანგარიშიც გაათანაბრა.

მესამე და გადამწყვეტ სეტში მეცხრე გეიმამდე თამაში თანაბრად მიდიოდა, მერე კი ქართველმა თავისი მოწოდება წააგო და იმედიც თითქმის გადაგვეწურა — 4:5 ანგარიშზე ფილენკოვი აწოდებდა. ორჯერ საქმე მატჩბოლამდეც მივიდა, თუმც დავითმა მოწინააღმდეგეს გადამწყვეტი ბურთი ერთხელაც არ ჩააგდებინა და დაახლოებით ათწუთიანი გეიმიც თავის სასარგებლოდ ჩაამთავრა — 5:5. სამწუხაროდ ეს იყო და ეს. ჩვენებურმა შემდეგ საკუთარი მოწოდებაც იოლად დათმო და ანერვიულებულმა ვერც საქმის ტაიბრეიკამდე მიყვანა მოახერხა.

ლადო ჩიხლაძე და ირაკლი უშანგიშვილი პირველი წრის შეხვედრებს დღეს ჩაატარებენ. თამაშები დილის თერთმეტ საათზე დაიწყება.

**ოთარ გაღლაკელიძე**

# ალექსანდრეს ალექსანდრეები

## საშკას კარგი თამაშითა ბაბუა გაუხარებია



**ჩოგბურთის** ძველი ქომაგები ალექსანდრე მეტრეველის გამარჯვებების გახსენებას „დინამოს" კორტებზე ნანახი ლამაზი თამაშებით იწყებენ. ყველა დროის საუკეთესო ქართველმა ჩოგბურთელმა მშობლიურ თიხნარზე გუშინ ერთხელაც შეაბიჯა და გულითადი ოვაციებიც მოისმინა. ჩოგანი არ მოუმარჯვია, თუმც არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. მისი სახელობის ტრადიციული ბავშვთა ტურნირის გამარჯვებულები თავად დააჯილდოვა.

ჩოგბურთის მოყვარულებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ ეს ტურნირი არასოდეს ყოფილა ასე ორგანიზებული. ამაში ლომის წილი ორგანიზატორს, სარეკლამო სააგენტო „ექსპოგრაფსა" და სხვა სპონსორებს მიუძღვით, რომლებმაც ქართული ჩოგბურთის მომავალი თაობა მშვენიერი პრიზებით გაახარეს, თან მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო გამყარების იდეაც თავადვე წამოაყენეს.

შეჯიბრი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. 1992-93 წლებში დაბადებულ ბიჭუნებში ჩემპიონობა უმცროსმა ალექსანდრე მეტრეველმა მოიპოვა და შარშანდელი ვერცხლი თავის პირველ ოქროდ აქცია.

ჭიდაობა

# ჭიდაობას რა უნდა? თბილისობა არ უნდა

*ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) ჯერ კიდევ გასულ წელს დაგვდო პატივი და „ბერძნულ-რომაელთა" მსოფლიოს თასის გათამაშება თბილისში დაგეგმა. წინასწარი ცნობით, ამ შეჯიბრისთვის 23-24 ოქტომბერს უნდა გვემასპინძლა, თუმც ამ დღეს თბილისობის დღესასწაულია და ჩვენების თხოვნით, ფილა-მ ვადა ერთი კვირით გადაწია. არც ოქტომბრის დასკვნით შაბათკვირას დაადგა საშველი – „ყურძნის ფესტივალი" ტარდება და უფრო ხელსაყრელი თარიღი ავირჩიოთო*

საბოლოოდ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას ორჯერ მოუხდა ფილა-ში უსტარის გაგზავნა, რაზეც მათ ცოტა კი წაუბუზღუნიათ, მაგრამ უარი არ უთქვამთ. საინტერესოა, ვითომ უკეთესი არ იქნებოდა, ამ დონის სპორტული ფორუმი თბილისობას ან „ყურძნის ფესტივალს" დამთხვეოდა?

შედეგად, მსოფლიოს თასი 6-7 ნოემბერს სპორტის სასახლეში ჩატარდება. როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაიშვილმა გვაცნობა, საზეიმო გახსნის ცერემონიალი 6 ნოემბერს შედგება, რის შემდეგაც ხალიჩაც ახმაურდება. მეორე დღეს ნახევარფინალ-ფინალები ასევე შუადღისას დაიწყება, ხოლო იქამდე საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი, ანუ ფალავნობა გაიმართება ქართულ ჭიდაობაში. მოკლედ, ჭიდაობის გურმანებს ნოემბრის პირველ უქმეებზე სანახაობა არ მოაკლდებათ.

რა თქმა უნდა, „ბერძენ-რომაელთა" საქსოფლიოთასო ბატალიებს ფილა-ს შვეიცარიელი პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი და მისი ამქარიც დაესწრება. ასე რომ, ტურნირი ისე უნდა ჩავატაროთ, „რომ იტყვიან, „ჩიტის რძეც" არ აკლდეს. თუმცა რა, ბატონმა მარტინეტმა ათენის ოლიმპიადის წინ თბილისში სტუმრობისასაც მოგვთაფლა, ათენის ოლიმპიადაზე თქვენი ქომაგი ვიქნები და არც ერთი მოჭიდავე არ დაგეჩაგრებათო, მაგრამ ალბათ არ დაგვიწყებიათ, როგორ შეასრულა დანაპირები.

რაც შეეხება უშუალოდ სახალიჩო ამბებს, ჩვენების გარდა თასზე იჭიდავებენ აშშ-ის, ირანის, ბელარუსის, ყაზახეთისა და თურქეთის ნაკრებები. ეს 6 გუნდი ორ ჯგუფში განაწილდება და ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალებიდან გააგრძელებს თასისთვის ბრძოლას. აქვე შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასს შარშან ყაზახეთმა უმასპინძლა, სადაც ბეგი დარჩიას გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. თბილისური სათასო ფორუმით მოჭიდავეთა წლევანდელი დიდი ტურნირები მიილევა, ხოლო დეკემბრის დასაწყისში ფედერაციის ყრილობა გაიმართება, თუმც იქამდე დიდი დროა...

**ილია ნანობაშვილი**

ცურვა




ამერიკელებმა ინდიანაპოლისში მაიკლ ფელპსის გარეშეც იყოჩაღეს

# ბარაქა წყალში და ტრიბუნაზე

**ინდიანაპოლისში** გამართული მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც 25 მეტრიან აუზში მიმდინარეობდა, უშუალოდ წყალში დამყარებული მსოფლიოს რეკორდების მერე კიდევ ერთი რეკორდით აღინიშნა. ამჯერად რეკორდი ტრიბუნებზე დამყარდა — შეჯიბრებას ყოველდღიურად საშუალოდ 11 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, რაც 25 მეტრიანი აუზებისთვის რეკორდული მაჩვენებელია და საცურაო ტურნირებში მხოლოდ ათენის ოლიმპიურ, 50-მეტრიან აუზში გამართულ შეჯიბრებას ჩამორჩება.

რაც შეეხება უშუალოდ საბოლოო შედეგებს, ყველას ამერიკელებმა აჯობეს. მათ 21 ოქროს, 10 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და ჯამში 41 მედალს მოუყარეს თავი.

ამერიკელებს 29 მედლით მოჰყვებიან ავსტრალიელები, რომელთაც ინდიანაპოლისში 7 ოქროს, 15 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი გამოიმუშავეს.

მესამე ადგილზე 2 ოქროსა და 3 ვერცხლის მედლით ბრიტანელები გავიდნენ. მათ 1 ბრინჯაოს მედლით ჩამორჩნენ ჩვენი ზემო მეზობელი რუსები, რომელთაგან მეორე გამარჯვება ისევ იური პრილუკოვმა იზეიმა, როცა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით პირველობის შემდეგ 1500 მეტრზეც იმარჯვა.

ჰოკეი

# ამბავ-ყინული

## ასე იცის უსაქმურობამ მაირს შარი მოენატრა

**დაიწყო** ლოკაუტი ნჰლ-ში და ჰოკეისტებმაც თავიანთი გზა ნახეს — ზოგმა ევროპას მიაშურა, ზოგი ჰოკეის ნაირსახეობით აპირებს გართობას... არიან ისეთებიც, რომლებიც შინ დასხდნენ და ახლობლებთან ყოფნით ტკბებიან. მაგრამ ტორონტოელი ადამ მაირი მოჩხუბრად ქცეულა. წელიწადის ამ დროს ვარჯიშს მიჩვეული ჰოკეისტი ეტყობა, ისე მძიმედ განიცდის უსაქმობას, რომ ერთი-ორი ჭიქის შემდეგ თავს ვეღარ აკონტროლებს. კანადის ქალაქ ჰამილტონის ერთ-ერთ ბარში მაირმა ისეთი ამბები ატეხა, პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო. მისი მსხვერპლი ბარმენი შეიქმნა, რომელსაც მაირმა ტუჩი გაუხეთქა. სერჟანტ კეროლ პეისის რაპორტში ვკითხულობთ: „განსაკუთრებით აგრესიულად და უხეშად ორი მამაკაცი იქცეოდა. ერთ-ერთმა მათგანმა ბარმენს უთავაზა, როცა მან ბარის დატოვება მოსთხოვა“. აქ სწორედ მაირზეა ლაპარაკი, რომელმაც ლოკაუტისას ეგებ ციხეში გამოიზამთროს.

## თავ კონტროლი გაუწიე!



გერი ბეტმენი

**ამ დღეებში** ლიგის ბოს გერი ბეტმენს უსიამოვნება შეემთხვა, ერთ-ერთი გუნდის მფლობელის და თავისი თანამოაზრის ტომ ლივიკეს დაჯარიმება მოუხდა, რადგან მან ამ გაგანია ლოკაუტის დროს ბეტმენის მთავარი ოპონენტი, მოთამაშეთა ასოციაციის ლიდერი ბობ გუდენაუ გააკრიტიკა.

ერთ-ერთი კალიფორნიული რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში ლივიკემ გუდენაუს „უსირცხვილო მატყუარა“ უწოდა. თურმე გუდენაუს უთქვია — ლევიკე აშკარად აზვიადებს თავისი გუნდის ზარალის ნამდვილ ციფრებსო. „10 წლის განმავლობაში 200 მილიონი დავკარგე, გუდენაუ კი საზოგადოებას აჯერებს, რომ ლამის მოგებაში ვარ“ — ბობოქრობდა ლივიკე.

ცხადია, ბეტმენი გულის სიღრმეში სავსებით ეთანხმება ლივიკეს და უფლება რომ ჰქონოდა, თავად უფრო მეტად „შეამკობდა“ გუდენაუს, მაგრამ ეტიკეტი დაიცვა და თანამოაზრეს ჯარიმა დააკისრა.

## ზოგი ტრავმა მარგებელია

**ლოკაუტის** დროს ავადმყოფობა სწორედ მისწრება ყოფილა. ნჰლ-ში ჩემპიონატის დაწყებას პირი არ უჩანს, 30 ჰოკეისტი კი ხელფასს მაინც მიიღებს, რადგან თურმე წინა სეზონში მსოფლიოს თასზე მიღებული ტრავმები ჯერაც არ მოუშუშებიათ. მათ შორის ცნობილი სახელებიცაა, მაგალითად, ალექსანდრ მოგილნი, ოუენ ნოლანი და ედ ბელფორი. „კოლორადოში“ კი ერთბაშად ოთხ მოთამაშეს შეუძლია, 15 ოქტომბერს გუნდში გამოცხადდეს და ხელფასი მოითხოვოს. მათ ჯამაგირს იქამდე გადაუხდიან, სანამ ექიმები არ დაადასტურებენ, რომ სრულად გამოჯანმრთელდნენ.

ჯერემი რენიკის საკითხი კი ჯერაც არ გადაწყვეტილა. მან ოლო პლეი ოფში ტვინის შერყევა მიიღო და ადვილი შესაძლებელია, კარიერა ველარ გააგრძელოს. თავად ჰოკეისტი დარწმუნებულია, რომ გამოჯანმრთელდება და თავის გუნდს, „ფილადელფიას“, ჯამაგირს სთხოვს, თან რა ჯამაგირს — წელიწადში 7,5 მილიონი ერგება და დღეს-ხვალ რომ არ მოკეთდება, ეს გაჩახჩახებულ „მედისონ სკვერ გარდენზე“ უფრო ნათელია.

## კიდევ ერთი შოუ ჰოკეის ნაცვლად

**არიქა,** ლოკაუტიო და ჰოკეის ნაირ-ნაირი პროექტები ისე მომრავლდა, როგორც სოკო წვიმით დამბალ ტყეში. მორიგი იდეა „რეინჯერსის“ ჰოკეისტ ჯოელ ბუშარს ეკუთვნის და საამისოდ სპონსორებიც მოძებნა. ახალი პროექტი ასეთი შინაარსისაა: სამი გუნდი (თითოეულის შემადგენლობაში 12 მოთამაშეა) წრიულ ტურნირში 20-წუთიან თამაშებს მართავს, ისევე როგორც ოსჰლ-ში (ამაზე „სარბიელმა“ უკვე გაუწყათ). ძალისმიერი ბრძოლა და ჩხუბი აქაც აკრძალულია, ხოლო თამაში ოთხი ოთხზე გაიმართება. ეს სანახაობა კანადის 32 ქალაქში მოეწყობა და ბილეთის ფასი 20 დოლარი იქნება. ბუშარის პროექტში ცნობილი კანადელები მონაწილეობენ. მაგალითად, ერთ გუნდში მეკარეები — ჟოზე თეოდორი და რობერტო ლუონგო ირიცხებიან, მეორეში — ფორვარდი სიმონ განიე მოიქნევს ყვანჯს, ხოლო მესამეში — მეკარე ჟან სებასტიან ჟიგერი.

აქვე უნდა გაცნობოთ, რომ ეს საქველმოქმედო აქციაა და მთელი შემოსავალი ბავშვთა ფონდებს გადაეცემა.

**სამველ ლარიბიანი**

ტანვარჯიში




ალინა კაბაევა საქორწინო კაბაში მალე გამოეწყობა

## კაბაევას კაბას ქართველი ჩააცმევს

**ეშხიანმა** ტანმოვარჯიშემ ალინა კაბაევამ სპორტულ კარიერას წერტილი დაუსვა და ჰოლივუდისკენ გაიხედა. 21 წლის რუსმა კოხტაქალმა მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე მრავალგზის გაბრწყინების შემდეგ წლეულს ათენიც დაიპყრო, ამასწინათ ტოკიოში მსოფლიოს საკლუბო თასზეც გაჩემპიონდა და რომ მიიხედ-მოიხედა, მოსაგები აღარაფერი დარჩა...

კაბაევა კარიერის დასაწყისშივე იზიდავდა ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. მის მიჯნურთა სიაში შედიოდნენ რუსი ფეხბურთელი მარატ იზმაილოვი, ამერიკულ ფეხბურთში მოთამაშე და ამჟამად საჩოგბურთო მენეჯერი კირილ კოსტირკო, ჰოკეისტი ოლეგ ტვარდოვსკი, თუმც ეს რომანები ყვითელ პრესას არ გასცილებია, თავად ალინა კი ოფიციალურად ყველასთან კავშირს უარყოფდა.

ახლა საქმე სერიოზულადაა, უფრო სწორად, გადაწყვეტილია: უზბეკური ფესვების კაბაევა თხოვდება და, როგორც უცხოური სააგენტოები იუწყებიან, მისი რჩეული... ქართველია, მოსკოვში მცხოვრები 35 წლის მილიციის კაპიტანი დავით მუსელიანი. ტანმოვარჯიშის მეგობრები ამბობენ, ეს წყვილი ერთმანეთს ორი წლის წინათ შეხვდა, მუსელიანი კაბაევას სთხოვდა, სპორტს დამშვიდობებოდა და ოჯახური საქმეებისთვის მიეხედათ. ალინამ შორს დაიჭირა, ოლიმპიური ჩემპიონობა ჩემი ცხოვრების მიზანია, ათენში ოცნება უნდა ავიხდინოო...

ახლა, როცა ათენში თავისას მიაღწია, ალინა მსახიობობას აპირებს და თანაც არა რუსეთში, არამედ ჰოლივუდში!

„სპორტში ყველაფერს მივაღწიე, ახლა კი ოჯახის შექმნის დროა. მე უკვე მყავს რჩეული და გადაწყვეტილია, რომ ქორწილს გაისად ზაფხულს გავმართავთ“ — ამბობს კაბაევა, ვისთან ერთადაც ქართველ დავით მუსელიანს ჰოლივუდური თავგადასავლები არ მოაკლდება...

**ილია ნანობაშვილი**

ხელბურთი

## ლიგამ დაიწყო, თბილისმა დაამთავრა

**ევროპაში** სახელბურთო სეზონი ხურდება. ჩვენი ოთხი კლუბიდან ევროთასების გათამაშებაში პირველი „თბილისი“ ჩაება — პორტუგალიის ქალაქ ავეიროში „ჩელენჯ ქაფის“ ოთხგუნდა ტურში ითამაშა. როგორც მოსალოდნელი იყო, „თბილისი“ მასპინძელ „სან ბერნარდოსთანაც“ დამარცხდა — 16:43 და ლიტვის „ლუსის კაუნასთანაც“ — 17:46, უსუსურ შოტლანდიურ „ტრისტ 77“-ს კი ადვილად მოუგო — 34:21.

ქართველთა მძლეველები გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ „თბილისის“ 67 გოლიდან თითქმის ნახევარი ლაშა სამარლანიშვილმა გაიტანა — 30 (8+12+10).

მეთორმეტედ გაუდგა გზას ვაჟების ჩემპიონთა ლიგა. შეჯიბრების ფორმატი ფეხბურთის ანალოგიურია — 32 კლუბი რვა ჯგუფშია განაწილებული. ორწრიანი ტურნირის შემდეგ 16 საუკეთესო პლეი ოფის წესით გააგრძელებს ბრძოლას ყველაზე პრესტიჟული საკლუბო თასისთვის. რეიტინგით ყველაზე მაღლა მდგომებს — გერმანიასა და ესპანეთს წლეულსაც სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავთ, ორ-ორი გუნდი სლოვენიას, ხორვატიას, საფრანგეთს, დანიასა და უნგრეთს.

პირველივე ტურში სენსაცია მოხდა — ლიგის ამჟამინდელმა ჩემპიონმა, სლოვენიის „პივოვარნამ“ ბელგრადში „ცრვენა ზვეზდასთან“ წააგო. სლოვენიელმა მელუდეებმა შარშან ჯგუფური ეტაპი თითქმის ასპროცენტიანი შედეგით (ხუთი მოგება, ერთი ფრე) გაიარეს, ჩემპიონის რანგში კი პირველივე მატჩი დათმეს: ყოფილ თანამემამულეებთან ტაიმი ექვსი ბურთით წააგეს — 16:22 და შესვენების შემდეგ მართალია, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ჩამორჩენის მხოლოდ მინიმუმამდე შემცირებაღა მოახერხეს.

**A ჯგუფი**

პიკ სეგედი (უნგრეთი) 27:24 კონსტანცა (რუმინეთი)
ბარსელონა (ესპანეთი) 31:22 ვარდარ სკოპიე (მაკედონია)

**B ჯგუფი**

ზაგრები (ხორვატია) 22:29 ZTR ზაპოროჟიე (უკრაინა)
მონპელიე (საფრანგეთი) 44:25 კონვერსანო 2003 (იტალია)

**C ჯგუფი**

გოგ გუდმე (დანია) 36:17 ბრესტსკი მეშკოვო (ბელარუსი)
გორენიე (სლოვენია) 26:33 ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)

**D ჯგუფი**

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 33:32 პივოვარნა ლაშკო (სლოვენია)
ვისლა (პოლონეთი) 19:30 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)

**E ჯგუფი**

ლიუბუშკი (ბოსნია) 23:37 სიუდად რეალი (ესპანეთი)
ვინტერტური (შვეიცარია) 28:38 კოლდინგი (დანია)

**F ჯგუფი**

ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 28:35 კილი (გერმანია)
სავეჰოფი (შვედეთი) 27:22 კრეტეი (საფრანგეთი)

**G ჯგუფი**

გრანიტასი (ლიტვა) 26:33 ფოტეძსი (უნგრეთი)
სანდფიორდი (ნორვეგია) 24:27 ლემგო (გერმანია)

**H ჯგუფი**

ტატრანი (სლოვაკეთი) 24:24 ფლენსბურგი (გერმანია)
ბანიკ კარვინა (ჩეხეთი) 30:25 მეტკოვიჩ ჯამბო (ხორვატია)




REUTERS სან სალვადორიდან

# ვარსკვლავთა მწკრივი

ესეც ასე: სალვადორში თამაშ-თამაშით მოგზაურობს გვატემალური საფეხბურთო გუნდი „ესტრედას დე ლა ლინეა“, რომელიც დამხვდურებს ასტრონომიული ანგარიშებით ამარცხებს. „ვარსკვლავთა მწკრივი“ (ასე თუ მოითარგმნება გუნდის სახელი) გვატემალაში ქალთა ჩემპიონატიდან მოხსნეს, მოთამაშეთა პროფესიის გამო. ამ გოგოების ხელობა მეძავობა გახლავს და რახან შინ არ ათამაშებენ, ახლომახლო ქვეყნებში მოგზაურობენ. გუნდის ლიდერი და მთავარმეკარე ვალერია (ბურთით) გახლავთ, თავის ქალაქში განთქმული ღამის პეპელა.

# კოცნა მოგებულს

ეს კოცნა ტკბილია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თამაშის გმირი ხარ და ეროვნული ლიგის ბეისბოლის დივიზიონის სერიაში სტუმრად იმარჯვებ. „სენტ ლუისმა“ ლოს ანჯელესშივე დასცა „დოჯერსი“ სერიის მეოთხე შეყრაში და ამ მოგების შემოქმედი სწორედ ალბერტ პუხოლსი იყო, რომელსაც ცოლი დიდხნის გასახდელშივე მიეკონა.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# წყვილი

ელტონ ჯონის „შიდსის ფონდი“ [illegible] საქველმოქმედო ჩოგბურთის ტურნირის კალიფორნიაში. ეს გამარჯვებული შერეული წყვილიც ძალიან სიმპათიურია, თუმცა ანდრე მაინც ფრთხილად უნდა იყოს, ამ გოგოთ უცაბედი გამჟღავნება იცის და მერე ამტკიცე რომ... ვინ არ იცნობს ანა კურნიკოვას? შტეფიც იცნობს, აგასიანის ცოლი.



REUTERS ინდიანიდან

# ლატაკთა ქუჩებზე

ავსტრალია საკრიკეტოდაა ინდოეთში და ოზები ისე არ იზამენ ხოლმე, მარადი მეტოქისა და მეგობრის ლატაკ ქომაგებს ხელი არ გაუმართონ. ავსტრალიელთა კაპიტანი ადამ ჯილქრისტი ქალაქ მადრასის ულატაკეს გარეუბნებში მისულა მაგანი ფონდის შემწეობით.



REUTERS მადრასიდან



REUTERS მაიამიდან

# გამოიქცირეს

ოჰ, ძმამე თამაში ელის კოლუმბიის ნაკრებს ამაღამ. შესარჩევ თამაშში ბრაზილიელებს უნდა უმასპინძლოს მასეოში. გუნდის სასტუმროში კი ფანებს გამოუქცერიათ ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გერარდო ბედოია და მასთან ერთად ფოტოებს ჩხაკუნით ხალისობენ. გერარდო კი ალბათ სულ სხვას ფიქრობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge